

ქეთევან დევიძე

შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობა სისხლის სამართლის
პროცესში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, ქეთევან დევიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: ქეთევან დევიძე

თარიღი : 25.06.2121

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ქეთევან დევიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თარიღი :25.06.2121

რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ისეთი აქტუალური და პრობლემური საკითხს ანალიზს, როგორცაა შეურაცხადი ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის საერთაშორისო სტანდარტის და მინიმალური გარანტიების განსაზღვრა. კვლევის მიზნებისთვის მეტწილად მიმოხილული იქნება სამართლიანი სასამართლო უფლების ის მნიშვნელოვანი კომპონენტები, რაც ეზღუდება შეურაცხად ბრალდებულს, მათ შორის, როგორცაა საქმის განხილვაში უშუალო მონაწილეობის უფლება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში მონაწილეობა, დაცვის უფლება და ადვოკატთან სათანადო კომუნიკაციის მნიშვნელობა და სხვ. აგრეთვე, მიმოხილული იქნება, თუ რამდენად შეესაბამება შეურაცხადი ბრალდებულის უშუალო მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის გაგრძელება სისხლის სამართლის პრინციპებს.

ნაშრომში კვლევის საგნის მიზნებიდან გამომდინარე სხვადასხვა ლიტერატურის, თუ სტატიის გარდა, მეტწილად მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტის განმსაზღვრელ პრეცედენტულ არეალს, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების, ისე ნაციონალური სამართლის მის შესაბამისად განვითარების კუთხით.

Abstract

The aim of the presented thesis is to analyze such a topical and problematic issue as the definition of an international standard and minimum guarantees for the participation of an abusive accused in criminal proceedings. For the purposes of the research, will be largely reviewed, the important components of a fair trial that limit the mentally ill accused, for example, the right to effective participation in the hearing, participate in a jury trial, right to defense, the importance of communication between defendant and barrister and connection with other criminal law principles, a fair trial generally.

Depending on the purpose of the research subject in addition to various literature and articles, the case law of the European Court of Human Rights is widely used, because of its meaning as a interpretator of the rights enshrined in the European Convention on Human rights and for development of nation law according to its case law.

სარჩევი

შესავალი.....	7
I. შეურაცხაობის დეფინიცია სისხლის სამართალში.....	10
1.1. შეურაცხაობა, როგორც ბრალის გამომრიცხავი გარემოება.....	10
1.2. შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო.....	11
1.3. სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.....	15
II. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ბრალდებულის ეფექტური მონაწილეობის უფლების არსი.....	18
2.1. საქმის განხილვაში შეურაცხადი ბრალდებულის უშუალო მონაწილეობის უფლება.....	20
2.2. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის შემთხვევები.....	27
2.2.1. გამონაკლისები დისციპლინური მიზეზებიდან გამომდინარე.....	28
2.2.2. უარის თქმის უფლება.....	32
2.2.3. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.....	35
2.3. ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლების შემთხვევებისთვის დადგენილი მინიმალური გარანტიები.....	37
2.3.1. დაცვის უფლებით უზრუნველყოფის სავალდებულობა.....	39
2.3.2. ბრალდებულის ინფორმირებულობა.....	41
2.3.3. საქმის გადასინჯვის უფლება.....	42
III. დაცვის უფლება, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების კომპონენტი.....	46
3.1. დაცვის უფლების განხორციელება პირადად.....	47
3.2. დაცვა ადვოკატის მეშვეობით.....	48
3.2.1. დაცვა შეთანხმებით.....	48
3.2.2. სავალდებულო დაცვა.....	49
3.3. შეურაცხადი ბრალდებულის დუმილის უფლება და თვითინკირიმინაციის აკრძალვის პრივილეგია.....	51
3.4. ბრალდებულისა და ადვოკატის ურთიერთობის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში.....	52
IV. საქმის განხილვაში შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობის შესაბამისობა სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან.....	57
4.1. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.....	57
4.2. შეურაცხადი ბრალდებულის უფლება გონივრულ ვადაში სამართლიან სასამართლო განხილვაზე.....	59
4.3. შეურაცხადი ბრალდებული და უდანაშაულობის პრეზუმფცია.....	60
4.4. შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში.....	62
დასკვნა.....	64

შესავალი

დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირება წარმოუდგენელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმების არსებობის გარეშე. ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება, მით უფრო, საზოგადოების მხრიდან თვითიუსტიციის აკრძალვის პირობებში¹, თუმცა, სისხლის სამართალწარმოების პროცესში პრიორიტეტულია პირის კანონიერი ინტერესების დაცვა² და ნებისმიერი მოქმედება უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებების დაცვის ფარგლებში. სისხლის სამართალში ადამიანის უფლებების დამცველ ფუნდამენტურ ღირებულებას სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს, რომლის მოქმედებაც პირთა წრით არ არის შეზღუდული, შესაბამისად გარანტირებულია ყველა ადამიანისთვის განურჩევლად მისი ფიზიკური, თუ ფსიქიკური მდგომარეობისა.

საქმის სამართლიანი განხილვის უფლებაში დაცვის უფლებაც მოიაზრება,³ რაც გულისხმობს ბრალდებულის შესაძლებლობას აიყვანოს ადვოკატი, ჰქონდეს მასთან კონფიდენციალური ურთიერთობა, ჰქონდეს გონივრული დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად,⁴ ხოლო იმ ბრალდებულის საქმის განხილვა, რომელიც ქმედების ჩადენის მომენტში შერაცხადი იყო, თუმცა, განაჩენის გამოტანამდე გახდა შეურაცხი გრძელდება მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე, ადვოკატის მეშვეობით,⁵ რაც ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ვინაიდან ვერ ხორციელდება ბრალდებულის სამართალწარმოებაში ეფექტური მონაწილეობა, დაცვის მომზადება, მოწმეების დაკითხვა, სხდომებზე დასწრება, ამასთანავე, ბრალდებულს არ შესწევს ადვოკატთან ეფექტური

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 21.

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი.

³ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

⁵ იქვე, 45-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

კომუნიკაციის უნარი⁶ მაშინ, როცა საქმეზე საბოლოო შედეგი სწორედ მათ შორის შეთანხმებულ დაცვის სტრატეგიაზეა დამოკიდებული. ამასთანავე, ძეგნილი ბრალდებულისგან განსხვავებით, მისი ნებისგან დამოუკიდებლად, ვერ ხერხდება სისხლის სამართლის პროცესში ჩართვა.⁷ დღესდღეობით ზემოხსენებული შემთხვევის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხს თელავის რაიონული სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო,⁸ რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საკითხის აქტუალობას.

ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს იმ ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც ქმედების ჩადენის მომენტში იყო შერაცხადი, თუმცა, განაჩენის გამოტანამდე გახდა შეურაცხი, ასევე განიხილოს თუ რამდენად თანხვედრაშია მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის გაგრძელება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, სწრაფი მართლმსაჯულების და სისხლის სამართლის პროცესის სხვა ფუნდამენტურ პრინციპებთან, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან, ასევე განსაზღვროს კვლევის საგანთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი. ნაშრომის მიზანია რეკომენდაციების შემუშავება სწორედ ევროპულ სტანდარტთან ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებების ქმედითი და არა შაბლონური დაცვა.

ნაშრომში გამოყენებულია ანალიტიკური და ინდუქციური კვლევის მეთოდები, რათა ანალიზის საფუძველზე მივიდეთ კონკრეტულ დასკვნებამდე, ასევე დესკრიფციული კვლევის მეთოდი ზემოხსენებული

⁶ თელავის რაიონული სასამართლოს №1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე. იხ., <<https://www.constcourt.ge>> [18.03.2021]

⁷ იქვე.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/3/1543 საოქმო ჩანაწერი. იხ., <<https://www.constcourt.ge>> [18.03.2021]

საკითხების დასახასიათებლად, ხოლო კვლევის საგანთან დაკავშირებული მოდელური პრაქტიკის გასაანალიზებლად გამოყენებულია ინსტიტუციურ-შედარებითი კვლევის მეთოდი.

I. შეურაცხაობის დეფინიცია სისხლის სამართალში

1.1. შეურაცხაობა, როგორც ბრალის გამომრიცხავი გარემოება

ბრალი დღესდღეობით გაბატონებული ნორმატიული თეორიიდან გამომდინარე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივ გაკიცხვას გულისხმობს, ხოლო ბრალეულობა გასაკიცხაობას.⁹ მიუხედავად იმ არსებული შეხედულებებისა, რომლის თანახმადაც, განზრახვა და გაუფრთხილებლობა დანაშაულის სისტემაში ბრალის საფეხურზე განსახილველ პრობლემას წარმოადგენს,¹⁰ შეურაცხადობის პრობლემა, როგორც ბრალუნარიანობის განმსაზღვრელი გარემოება, სწორედ, თვით ბრალის ეტაპზე განიხილება.¹¹ სამართალში პირის ქმედუნარიანობა მყარად არის გამიჯნული მისი ბრალუნარიანობისგან, რა დროსაც წყდება საკითხი იყო, თუ არა პირი ნორმის ვარგისი ადრესატი, რომელსაც აქვს ნების თავისუფლება და თავის ნებაზე ბატონობის უნარი.¹² როგორც წესი, პიროვნების შეურაცხადობა სპეციალურად არ დგინდება, ის იგულისხმება, მაგრამ თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ქცევა ან სხვა გარემოებები ბადებენ ეჭვს შეურაცხადობაში, აუცილებელი ხდება მისი დადგენა.¹³ ფსიქიკის ანომალიურ მდგომარეობას ფსიქოპათოლოგია შეისწავლის.¹⁴ ფსიქიკური ჯანმრთელობა ერთ-ერთ იმ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმის ნორმალური

⁹ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, 404.

¹⁰ მაღლაკელიძე ლ., ბრალის გენესიზი ქართულ სისხლის სამართალში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2015, #5, 94. იხ., იხ.: Макашвили В. Г., Уголовная Ответственность за Неосторожность, Москва, 1957, стр. 55-57; Церетели Т. В., Макашвили В. Г., Понятие Вины в Уголовном Праве, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე“, 1986, გვ. 2, 71-86.

¹¹ იხ., <<https://geolaw.wordpress.com>> [09.05.2021]

¹² ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, 212.

¹³ გიორგაძე ა., შეზღუდული შეურაცხაობა, სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები, თბილისი, 2008, 58.

¹⁴ გელდერი მ. ჰარისონი პ., ქოუენი ფ., ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში, მეხუთე გამოცემა, მთარგმნელები ჩხეიძე თ., ჭყონია ე., ევა ჭყონიასა და ნინო მახაშვილის რედაქტორობით, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, თბილისი 2012, 2.

ფუნქციონირებისა და ჰარმონიული ცხოვრების პირობებისთვის, ხოლო იმისათვის, რომ ადამიანს კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა დაეკისროს, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მას ჰქონდეს საკუთარი ქმედების შინაარსისა და ხასიათის გააზრების უნარი, რისი შეგნების გარეშეც წარმოუდგენელია მის მიმართ განხორციელდეს რაიმე სახის და განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, ვინაიდან ის ყველაზე ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს ადამიანის უფლებებში. შერაცხადობის მომენტის განსაზღვრისას, კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღქმა, რაც გულისხმობს გრძნობათა ორგანოების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის შეცნობის პროცესს¹⁵.

შეურაცხაობა წარმოადგენს ბრალის გამომრიცხავ გარემოებას და ის შეიძლება განპირობებული იყოს როგორც ასაკის,¹⁶ ისე ფსიქიკური დაავადების გამო.¹⁷ შერაცხვაუნარიანობა დგინდება ინტელექტუალური და ვოლუნტატიური მომენტებისგან, რაც გულისხმობს იმას, რომ პირი შეურაცხადია არა მარტო მაშინ, როდესაც იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დროს ინტელექტუალურად სწორად არ იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ, არ შეეძლო თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათის ან მართლწინააღმდეგობის გათვალისწინება, არამედ მაშინაც, როდესაც არ შეეძლო ეხელმძღვანელა მისთვის.¹⁸

1.2. შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ფსიქიკურად დაავადებული ბრალდებულების მიმართ იმგვარი მოპყრობაა, როგორც ჩვეულებრივი ბრალდებულების შემთხვევაში, ხოლო ზოგ ქვეყანაში კი კანონმდებლობა

¹⁵ გელდერი მ. ჰარისონი პ., ქოუენი ფ., ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში, მეხუთე გამოცემა, მთარგმნელები ჩხეიძე თ., ჭყონია ე., ეკა ჭყონიასა და ნინო მახაშვილის რედაქტორობით, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, თბილისი 2012, 7.

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლი.

¹⁷ იქვე, 34-ე მუხლი.

¹⁸ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, 420.

მათ მიმართ სენსიტიური და შემწყნარებელია.¹⁹ ქართულ კანონმდებლობაში ხსენებული მიდგომა მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში ჩაიდინა პირმა დანაშაული, კერძოდ, კვლევის საგნისთვის მნიშვნელოვანია ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხაობის მომენტის განსაზღვრა, რაც ფაქტობრივად განსაზღვრავს თითოეულ საქმეზე სამართლებრივ შედეგს, კერძოდ, თუ პირი ქმედების ჩადენის დროს იყო ფსიქიკურად დაავადებული, მას ბრალად არ შეერაცხება მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება.²⁰ ფსიქიკური დაავადებით პირს მოშლილი აქვს ფსიქიკა როგორც ცნობიერების, ისე ნებელობის მომენტი.²¹ სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის ასეთ დაავადებად ითვლება ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა,²² რაც გულისხმობს დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე დაავადებას,²³ აგრეთვე ფსიქიკის დროებითი აშლილობა,²⁴ რომელიც მიმდინარეობს დროის ხანმოკლე პერიოდში და ბოლოვდება ავადმყოფის განკურნებით. აშლილობა განიმარტება, როგორც კლინიკურად გამოხატული ქცევის ან სიმპტომების ერთობლიობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ასოცირებულია დისტრესთან და გავლენას ახდენს პიროვნების ფუნქციონირებაზე,²⁵ მეტიც, იწვევს პიროვნულ დისფუნქციას და არღვევს პირის გარემოსთან ადაპტაციის პროცესს.²⁶ რაც შეეხება ჭკუასუსტობას, გულისხმობს თანდაყოლილ გონებრივ დაქვეითებას და მუდმივ ხასიათს ატარებს.²⁷ ასევე

¹⁹ STEPHEN J. MORSE, MENTAL DISORDER AND CRIMINAL LAW, *Journal of Criminal Law and Criminology*, Volume 101, Article 6, Northwestern University School of Law, 2011, 886.

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²¹ ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე შვესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 124.

²² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²³ ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე შვესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 124.

²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²⁵ გელდერი მ. ჰარისონი პ., ქოუენი ფ., ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში, მეხუთე გამოცემა, მთარგმნელები ჩხეიძე თ., ჭყონია ე., ევა ჭყონიასა და ნინო მახაშვილის რედაქტორობით, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, თბილისი 2012, 25.

²⁶ საქართველოს კანონი „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁷ ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე შვესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 124.

აღსანიშნავია, რომ დაავადებათა ზემოხსენებული ჩამონათვალი სისხლის სამართლის კოდექსით არ არის ჩაკეტილი და იგულისხმება აგრეთვე სხვა ფსიქიკური დაავადებებიც, რაშიც შესაძლოა სხვა ისეთი ავადმყოფობებიც ვიგულისხმოთ, რომელიც დაკავშირებულია ფსიქიკური მდგომარეობის მოშლილობასთან.²⁸ ფსიქიკური დაავადების სიმპტომები მოიცავს ემოციურ, შემეცნებით და ქცევით დარღვევებს.²⁹ ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი დგინდება საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების მიხედვით.³⁰

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ ბრალდებული, რომელიც ქმედების ჩადენის მომენტში იყო შეურაცხი, სრულად თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას,³¹ შესაბამისად მისი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის საკითხის განხილვა ყოველგვარ საღ აზრს მოკლებულია. თუმცა იშვიათობას არ წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედების განხორციელების მომენტში პირი არ არის შეურაცხი და ასეთი ფაქტი წარმოიქმნება დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ფსიქიკური ჯანმრთელობის სარისკო არაერთ ფაქტორს შეიცავს საპატიმრო დაწესებულება, რომელთა შორისაა გადატვირთულობა, ძალადობის სხვადასხვა ფორმა, პირადი სივრცის დეფიციტი, პატიმრობის დროს ფიზიკური და ინტელექტუალური აქტივობის დეფიციტი, სამართლო საკნების გამოყენება, სოციალური კავშირების გაწყვეტა, ჯანდაცვის სერვისების დაბალი ხარისხი და სხვა, ხოლო ამ ფაქტორების მოქმედება უარყოფით გავლენას ახდენს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ფსიქიკურ მდგომარეობაზე.³² იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული

²⁸ იქვე.

²⁹ Donald W. Black, Nancy C. Andreasen, Introductory textbook of Psychiatry, SIXTH EDITION, Washington, DC London, England, 4.

³⁰ საქართველოს კანონი „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

³² ელიაშვილი მ., ზავრადაშვილი ნ., კვლევა ბრალდებულთა ფსიქიკური აშლილობის საკითხებზე-არსებული პრაქტიკა, პრობლემები, სამომავლო ხედვა, ადამიანის უფლებები

შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს, ან უხელმძღვანელოს მას,³³ გრძელდება სისხლის სამართლის საქმის განხილვა,³⁴ სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.³⁵ აღნიშნული მიდგომა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც აუცილებელია დადგეს იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელმაც განახორციელა სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებული ქმედება იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს არც ბრალის და არც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები, ხოლო ის, რომ მისი შერაცხადობის მომენტი წარმოიქმნა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ვერ იმოქმედებს მის ბრალუნარიანობაზე, თუმცა აქ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი რამდენად მისასაღმებელია, საერთაშორისო სტანდარტებთან, სისხლის სამართალში დამკვიდრებულ პრინციპებთან და ადამიანის უფლებებთან ჰარმონიზაციაშია შეურაცხადი ბრალდებულის გასამართლება მისი დასწრების გარეშე. ასეთ დროს ცალსახად ვიღებთ შემთხვევას, როდესაც პირს საკუთარი ნებისგან დამოუკიდებლად, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეუძლია მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობა, რაც მისი კონსტიტუციური, ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა, ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობა არ

ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში, თბილისი, 2014, 8. იხ., <<http://www.humanrights.ge>> [18.06.2021]

³³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

³⁴ ელიაშვილი მ., ზავრადაშვილი ნ., კვლევა ბრალდებულის ფსიქიკური აშლილობის საკითხებზე-არსებული პრაქტიკა, პრობლემები, სამომავლო ხედვა, თბილისი, 2014, 13. იხ., <<http://www.humanrights.ge>> [12.05.2021]

³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 547.

წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან დადგენილ გამონაკლისს.

1.3. სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიზანია გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასება ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში.³⁶ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ამოცანებია გაარკვიოს, შეეძლო თუ არა პირს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა ეხელმძღვანელა მისთვის, აგრეთვე გაარკვიოს, შეეძლო თუ არა პირს დანაშაულის ჩადენის მომენტში სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ან/და ეხელმძღვანელა მისთვის, გარდა ამისა, გაარკვიოს, შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო სწორი ჩვენების მიცემა, საგამომიებო ან სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა და სხვ.³⁷ ხოლო მიზანს წარმოადგენს გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასება ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში.³⁸ სისხლის სამართლის პროცესში შეურაცხაობის მომენტის დადგენასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს, თუ რა სახის სამედიცინო დოკუმენტით უნდა დადგინდეს მოწმის (ბრალდებულის სასამართლოში გამოკითხვაც მოწმის სტატუსით ხდება) ფსიქიკური მდგომარეობის

³⁶ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 19 ივნისის №142/ნ ბრძანება „სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁷ იქვე, მე-3 მუხლი.

³⁸ იქვე, პირველი მუხლის, მე-2 პუნქტი.

საკითხი, რაც წარმოადგენს ხარვეზს კანონმდებლობაში შესაბამისად, საკითხი უნდა გადაწყდეს ანალოგიის გზით და საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად ყველა შემთხვევაში ითხოვს სახელმწიფო (და არა ასევე კერძო) დაწესებულების დასკვნას.³⁹ აღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა, რომელიც გაცემული იყო შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და პრევენციის ცენტრის მიერ“ და არა სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულების მიერ, სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში და არ მიიჩნია საკმარის საფუძვლად, ახლად გამოვლენილ გარემოებად, შესაბამისად მსჯავრდებულმა ვერ ისარგებლა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით და ეს მიდგომა იმსახურებს კრიტიკას, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, დასკვნა გაცემულია სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულების მიერ (რომლის დასკვნის შინაარსის სისწორესთან დაკავშირებით მაინც და მაინც არ არსებობს კითხვის ნიშნები) არ უნდა ხდებოდეს მსჯავრდებულთა ბედის გადაწყვეტა. რაც შეეხება დასკვნის შინაარსს, მისი მომზადებისას ფსიქიატრს უნდა ახსოვდეს, რომ მას წაიკითხავენ ადამიანები, რომელთაც არ აქვთ სამედიცინო განათლება, ხოლო თუ მაინც გამოიყენება ტექნიკური ტერმინები, მაქსიმალურად ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, ვინაიდან სასამართლო პაციენტის მდგომარეობაზე უფრო ზუსტ და მკაფიო განმარტებებს მოითხოვს, ვიდრე დიაგნოზის ნიუანსების განხილვას.⁴⁰ თუ ბრალდებული დაავადდა ფსიქიკური აშლილობით დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაც დადასტურებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, სასამართლო პროცესი გრძელდება და სასამართლოს გამოაქვს

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის #3აგ-13 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

⁴⁰ გელდერი მ. ჰარისონი პ., ქოუენი ფ., ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში, მეხუთე გამოცემა, მთარგმნელები ჩხეიძე თ., ჭყონია ე., ევა ჭყონიასა და ნინო მახაშვილის რედაქტორობით, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, თბილისი 2012, 803.

გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს სასჯელის მოხდას სპეციალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გამოჯანმრთელებამდე.⁴¹ კიდევ ერთ პრობლემურ ნიუანსს წარმოადგენს ის, რომ ექსპერტიზის დანიშვნა ვერ ხდება სასამართლოს ინიციატივით, არამედ არის მხარეთა პრეროგატივა.⁴² მოსამართლეების განმარტებით, მათ პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა საქმის არსებითი განხილვის დროს ბრალდებულს ამჩნევენ უცნაურ ან არაადექვატურ ქცევას და ფსიქიატრიული ექსპერტიზა არ ჩატარებულა, ამის მიზეზი შეიძლება იყოს მრავალი, მათ შორის, დაცვის მხარის შემთხვევაში არასაკმარისი ფინანსური რესურსი, ბრალდების მხარის ინტერესებში კი შეიძლება საერთოდ არ შედიოდეს ექსპერტიზის დანიშვნა საქმის განხილვის ეტაპზე (რაც შესაძლებელია საფუძველშივე ბრალდების მხარის ხარვეზებზე მეტყველებდეს).⁴³ მიუხედავად წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე სისხლის სამართლის პროცესის წარმართვისა, სასამართლოს ერთადერთი როლი არის მართლმსაჯულების განხორციელება, მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა, შესაბამისად მას სჭირდება ქმედითი მექანიზმის არსებობა, რომ დანიშნოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ეს შესაძლოა წარმოადგენს ინკვიზიციურობის ელემენტს, თუმცა საკითხის სენსტიურობიდან გამომდინარე არის გამართლებული, რადგანაც ნებისმიერ და განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში უპირატესია ადამიანის უფლებების დაცვა, კერძოდ, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, ვინც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ ხვდებიან დიდი ალბათობაა, რომ მეტად განიცადონ სერიოზული და რთული პათოლოგიები, შესაბამისად აუცილებელია სპეციფიკური და შეუცვლელი ფსიქიატრიული ექსპერტიზა.⁴⁴

⁴¹ იქვე, 191-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁴² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁴³ ელიაშვილი მ., ზავრადაშვილი ნ., კვლევა ბრალდებულის ფსიქიკური აშლილობის საკითხებზე-არსებული პრაქტიკა, პრობლემები, სამომავლო ხედვა, თბილისი, 2014, 19.

⁴⁴ THE CANADIAN JOURNAL OF PSYCHIATRY, Volume 38, Bill C-30 and Canadian Psychiatry, Ottawa, Canada, June 1993 Number 5.

II. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ბრალდებულის ეფექტური მონაწილეობის უფლების არსი

კონსტიტუციით დეკლარირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, არამედ მოიცავს სასამართლო განხილვასთან დაკავშირებულ არაერთ საპროცესო გარანტიას.⁴⁵ სამართლიანი სასამართლოს უფლების თითოეული უფლებრივი კომპონენტის როგორც ფორმალური, ისე მატერიალური შინაარსით, საკმარისი პროცედურული უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა.⁴⁶ სისხლის სამართლის პროცესი საფუძველშივე ორი უთანასწორო მხარის დაპირისპირებაა, შესაბამისად მათ შორის ძალთა თანაფარდობა მაქსიმალურად უნდა იყოს დაბალანსებული. კერძოდ, სისხლისსამართალწარმოებაში მხარეს, ერთი მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც წარმართავს გამოძიებას მის ხელთ არსებული უზარმაზარი რესურსებითა და უფლებამოსილებით, ხოლო მეორე მხრივ ბრალდებული, რომლის შესაძლებლობები (მათ შორის ფინანსური, ადამიანური რესურსები), როგორც წესი, შეზღუდულია, შესაბამისად სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შორის არსებული ობიექტური სხვაობა კომპენსირებული უნდა იყოს დაცვის მხარისათვის მინიჭებული სხვადასხვა საპროცესო ინსტრუმენტებით იმგვარად, რომ ბრალდებული არ აღმოჩნდეს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით.⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება არ შემოიფარგლება სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობით, არამედ უზრუნველყოფს

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას.⁴⁸ ბრალდებულის უფლება საქმის განხილვაში ეფექტურ მონაწილეობაზე სამართლიანი სასამართლოს ცენტრალური კომპონენტია, რა უმთავრესი ღირებულებაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, ხოლო სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია არა ქვეყანაში კონსტიტუციის არსებობაზე, არამედ მასში რეგლამენტირებული ღირებულებების პრაქტიკულ განხორციელებაზე⁴⁹.

მიუხედავად სისხლის სამართლის პროცესის თითოეული სტადიის დიდი მნიშვნელობისა, საქმის არსებითი განხილვის ეტაპი უკონკურენტოდ გადამწყვეტია, რადგანაც სწორედ ამ ეტაპზე ხდება პირის ბრალეულობის საკითხის შეფასება და საბოლოოდ, მართლმსაჯულების განხორციელება. დღესდღეობით სისხლის სამართლის პროცესში ინკვიზიციურობის პრინციპის არარსებობის გამო, მოსამართლე ჩამოცილებულია ბრალდებისა და დაცვის ფუნქციათა განხორციელებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა ჩართულობის აუცილებლობის მნიშვნელობას,⁵⁰ ვინაიდან საქმეზე საბოლოო შედეგი-იქნება ეს გამამართლებელი, თუ გამამტყუნებელი განაჩენი, დამოკიდებულია მხარეთა მიერ განხორციელებულ სათანადო, დამაჯერებელ პოზიციონირებაზე, რისი არარსებობის გარეშეც სასამართლო მოკლებულია სხვა ყველანაირ შესაძლებლობას მოიპოვოს ან გააქარწყლოს მტკიცებულებები.

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁴⁹ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019, 10. იხ., საფრანგეთის 1789 წლის ადამიანის და მოქალაქის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია.

⁵⁰ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიძიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 9.

2.1. საქმის განხილვაში შეურაცხადი ბრალდებულის უშუალო მონაწილეობის უფლება

იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად შესაძლებელია ბრალდებულის შეურაცხადობამ შეაფერხოს სამართალწარმოების სამართლიანობა, უნდა განისაზღვროს საქმის განხილვაში ეფექტური ჩართულობის შინაარსის სამართლებრივი ფარგლები.⁵¹ სისხლის სამართლის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის პრინციპმა პირველად ასახვა ჰპოვა სტენფორდის საქმეში, როდესაც ბრალდებული პროცესის მიმდინარეობისას იჯდა ისეთ ადგილას, საიდანაც არ შეეძლო მოესმინა, თუ რა მტკიცებულებები განიხილებოდა სასამართლოზე, რასთან დაკავშირებითაც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ზემოხსენებული უფლება გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ ბრალდებული უფლებამოსილია დაესწროს საქმის განხილვას, არამედ მოისმინოს და მიიღოს მონაწილეობა პროცედურებში, თუმცა მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლო სხდომაზე ბრალდებული წარმოდგენილი იყო ადვოკატებით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საქმის განხილვაში და მათ ჰქონდათ ყველა შესაძლებლობა მიღებული ინფორმაცია მიეწოდებინათ ბრალდებულისთვის (მათ შორის, მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები, რაც მანამდე არ იყო ასახული მოწმეთა ჩვენებებში) და მისგანაც მოესმინათ პოზიცია, საბოლოოდ კი სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა არ დადგინდა.⁵² აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ როდესაც სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულთან ერთად მონაწილეობს მისი უფლებების დამცველი ადვოკატი, რომელსაც აქვს კომუნიკაციის შესაძლებლობა ბრალდებულთან, ხოლო ამ უკანასკნელს არ ესმის, ან თუნდაც ვერ ხედავს საქმის მიმდინარეობას, არ ირღვევა მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე, თუმცა საკითხი მაინც მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას. ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ერთ-ერთ

⁵¹ Meysman M., Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium. *ib.*, <<https://core.ac.uk>> [18.06.2021]

⁵² ECtHR, *Stanford v. The United Kingdom*, *Application no. (16757/90)*, 23 February 1994, 26. *ib.*, <<http://hudoc.echr.coe.int>> [18.06.2021]

საქმეში, რომლის თანახმადაც ორ არასრულწლოვან 10 წლის ბიჭს ბრალად ედებოდა მცირეწლოვანის გატაცება და მკვლელობა, საქმეზე არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მედიის ყურადღების მაღალი მაჩვენებელი, თუმცა სასამართლომ მიკერძოებულობა გამორიცხა აპელირებით, რომ ნაფიცი მსაჯულებისადმი გასცა მოწოდება მხედველობაში არ მიეღოთ არაფერი, გარდა იმისა, რაც სხდომაზე განიხილება და ჩათვალა, რომ არარსებობდა რაიმე გარემოება, რაც ხელს შეუშლიდა საქმის სამართლიან განხილვას.⁵³ აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სასამართლო ჩატარდა ზრდასრულთა სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელი ფორმლობით, თუმცა პროცედურა მოდიფიცირებულ იქნა ბრალდებულთა ასაკის გათვალისწინებით, ისინი დასვეს სოციალური მუშაკების გვერდით, ამაღლებულ საბრალდებო სკამზე, იქვე ისხდნენ მშობლები და იურისტები, სკოლის გაკვეთილების ხანგრძლივობით შემცირდა ზეპირი მოსმენების ხანგრძლივობა, ცხადდებოდა რეგულარული შესვენებები,⁵⁴ აგრეთვე სასამართლოს განმარტებით, დაუყოვნებლივ გამოაცხადებდა შესვენებას, როდესაც დაცვის მხარე შეატყობინებდა, რომ რომელიმე ბრალდებული დაღლილობის ან სტრესის ნიშნებს გამოავლენდა.⁵⁵ მიუხედავად საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მიღებული ყველა ამ სპეციალური ზომისა, ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებლები აპელირებდნენ, რომ უარი ეთქვათ სამართლიანი სასამართლო განხილვაზე, ვინაიდან ვერ შეძლეს ეფექტური მონაწილეობის მიღება მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესში, არა მხოლოდ ასაკის, არამედ მათი ფსიქიკური პირობების გამო.⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარის განმარტებით, ბრალდებულებს შეეძლოთ პასუხი ეგოთ

⁵³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2013, 9. იხ., <<http://www.supremecourt.ge>> [19.06.2021]

⁵⁴ ECtHR, T. v. The United Kingdom (24724/94) and V. v. The United Kingdom App. (24888/94), joint decision of 16 December 1999, 85. იხ., <<http://hudoc.echr.coe.int>> [19.06.2021]

⁵⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2013, 9. იხ., <<http://www.supremecourt.ge>> [19.06.2021]

⁵⁶ Meysman M., Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium.

საკუთარ ქმედებებზე, ვინაიდან ისინი აცნობიერებდნენ თავიანთი ნამოქმედარის სიავეს,⁵⁷ აღსანიშნავია, რომ თ-ს შემთხვევაში არსებობდა ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი განიცდიდა პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას, რაც დანაშაულის შემდეგ თერაპიული მუშაობის არარსებობასთან ერთად ნიშნავდა, რომ მას ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა ეთანამშრომლა ადვოკატებთან ან/და მიეცა მითითებები მათთვის ან უშუალოდ თავად მიეცა სასამართლოს წინაშე ადეკვატური დაცვის ჩვენება,⁵⁸ ხოლო მეორე ბრალდებულის ვ-ს საქმეში არსებული მტკიცებულების თანახმად, მას ჰქონდა უმცროსი ბავშვის ემოციური სიმწიფე, ის იყო ტრავმირებული და დაშინებული, მას არ შეეძლო ეცნობებინა ადვოკატის ან სასამართლოსთვის მოვლენების შესახებ, ასევე არ შეეძლო საქმის წარმოების მოსმენა და გაცნობიერება.⁵⁹ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებს უარი ეთქვათ სამართლიან სასამართლო განხილვაზე და განსხვავებით სტენფორდის საქმისგან, ამ შემთხვევაში, გამოცდილი და კომპეტენტური ადვოკატების დახმარება საკმარისი არ იყო, რომ დაეხლანსებინა ბრალდებულთა ის შეზღუდვები, რაც გამომდინარეობდა მათი ფსიქიკური ჯანმრთელობიდან, რომ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ პროცესში, ასევე მიღებული ზომებიც ჩათვალა არასაკმარისად პროცესის სამართლიანად მიჩნევისთვის.⁶⁰ ევროპული სასამართლოს განმარტებით, ბრალდებული არ ითვლება ქმედუნარიანად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიზეზით, როგორცაა, მაგალითად, ფსიქიკური დაავადება, არ აქვს საკმარისი ინტელექტი, რომ მითითებები მისცეს თავის იურიდიულ მრჩევლებს, უპასუხოს ბრალდებებს, გაიაზროს

⁵⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2013, 10. იბ., <<http://www.supremecourt.ge>> [19.06.2021]

⁵⁸ Meysman M., Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium.

⁵⁹ იბ., <<http://www.lawcom.gov.uk>> [19.06.2021]

⁶⁰ Meysman M., Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium.

ან/და წარმოადგინოს მტკიცებულებები.⁶¹ ამასთან, საქმე ანტუანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ორი თინეიჯერის მიერ მესამე თინეიჯერის რიტუალურ მკვლელობას, განმცხადებელი და მისი ადვოკატი აპელირებდნენ, რომ მას ჰქონდა შიზოფრენია და არ ექვემდებარებოდა გასამართლებას ფსიქიკური უუნარობის გამო, რის შემდეგაც მოუსმინეს სამ ფსიქიატრს და სასამართლომ ნაფიცი მსაჯულების მიმართ გააკეთა განმარტება, რომ მათ განმცხადებელი გასამართლებისთვის უვარგისად უნდა მიეჩნიათ, ამის დადგენის შემდეგ შეირჩა ნაფიცი მსაჯულების ახალი შემადგენლობა, იმის განსასაზღვრად ჩაიდინა, თუ არა განმცხადებელმა ბრალად შერაცხული ქმედება, რა პროცედურაც არ მიიჩნია ევროსასამართლომ როგორც სისხლისსამართლებრივი, თუმცა გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტებები, კერძოდ, სასამართლო ფსიქიკურად უუნარო პირის გასამართლებას მის პრაქტიკასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს, პროცესში ეფექტური მონაწილეობის უფლება სხვა ელემენტებთან ერთად მოიცავს მტკიცებულებების და ბრალდების შინაარსის გაგების, ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით არსებული გარანტიების გამოყენების უნარს.⁶² აგრეთვე, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა ბრალდებულისა და ადვოკატის კომუნიკაციას სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის და განმარტა, რომ ბრალდებულთა ემოციური სტრესი (ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა) ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ეთანამშრომლათ ადვოკატებთან სასამართლო დარბაზს მიღმაც და მიეწოდებინათ ადეკვატური ინფორმაცია დაცვის მიზნებისთვის.⁶³ ასევე ყურადსაღებია, რომ ევროპული კონვენცია არ მოითხოვს ბრალდებულებს

⁶¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2013, 15. იბ., <<http://www.supremecourt.ge>> [19.06.2021]

⁶² ECtHR, ANTOINE against the United Kingdom, App. No. 62960/00, 13 May, 2003.

⁶³ Meysman M., Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium. იბ., ECtHR, T. v. The United Kingdom (24724/94) and V. v. The United Kingdom App. (24888/94), joint decision of 16 December 1999, 88. იბ., <<https://core.ac.uk>> [19.06.2021]

ესმოდეთ სამართლის ან მტკიცებულებების ყველა დეტალი,⁶⁴ თანამედროვე იურიდიული სისტემის დახვეწის გათვალისწინებით, ნორმალური ინტელექტის მქონე ბევრ ზრდასრულს არ შეუძლია გააცნობიეროს ყველა სამართლებრივი სირთულე, ამიტომაც ევროპული კონვენციის მიერ ხაზგასმული იურიდიული წარმომადგენლობის უფლება.⁶⁵ თუმცა, წარმომადგენლის ყოლის მიუხედავად მნიშვნელოვანია ბრალდებული აქტიურად იყოს ჩართული მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, ხოლო ეფექტური მონაწილეობა ნიშნავს, რომ ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ფართო გაგება სასამართლო პროცესის ბუნებასა და იმ საფრთხეებთან დაკავშირებით, რაც მას ემუქრება, მათ შორის იმ სასჯელის შესახებ, რაც შეიძლება, რომ დაეკისროს.⁶⁶ ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიჰყევს, თუ რას ამბობენ ბრალდების მოწმეები და იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია ადვოკატით აუხსნას მას გარემოებების თავისი ვერსია, აღნიშნოს, თუ რაიმეს არ ეთანხმება და წარმოადგინოს საკუთარი თავის გამამართლებელი ფაქტები.⁶⁷ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ წარმომადგენლობა არ ქმნის საკმარის გარანტიას საქმის განხილვის სამართლიანობისთვის, როდესაც ბრალდებულს არ შეუძლია აქტიურად მონაწილეობა მიიღოს პროცესში.⁶⁸ შესაბამისად, ცალსახაა, რომ შეურაცხადი პირის გასამართლების შესაძლებლობა, რის საშუალებასაც იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილები არ არის ჰარმონიზაციაში სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანეს კომპონენტთან, რაც მოითხოვს, რომ

⁶⁴ ECtHR, *SC v United Kingdom*, *Application no. 60958/00*, 15 June 2004, 29. ივ., <<https://hudoc.echr.coe.int>> [19.06.2021]

⁶⁵ Mowbray A., *Cases, Materials, and Commentary on the European Convention on Human Rights* (3rd edn), Oxford: Oxford University Press, 2012, 426. ივ., <<https://www.oxfordlawtrove.com>> [19.06.2021]

⁶⁶ ივ., <<http://www.lawcom.gov.uk>> [19.06.2021]

⁶⁷ ECtHR, *SC v United Kingdom*, *Application no. 60958/00*, 15 June 2004, 29. ივ., <<https://hudoc.echr.coe.int>> [19.06.2021]

⁶⁸ Meysman M., *Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings*, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium. ივ., <<https://core.ac.uk>> [19.06.2021]

საქმის განხილვის დროს უნდა არსებობდეს ბრალდებულის მხრიდან საკმარისი დონის აქტიური ჩართულობა მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე⁶⁹. ის, რომ ბრალდებულს ფსიქიკური პრობლემა აქვს თავისთავად არ გამოორიცხავს მისი სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას და ზოგადად ევროპული კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება მიიღონ პოზიტიური ზომები მათი პროცესში მონაწილეობის მიზნით, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც მიუხედავად ყველა მიღებული ზომისა გამომდინარე ადამიანის გონებრივი შესაძლებლობებიდან შეუძლებელია მან უპასუხოს კითხვებს ან მითითებები მისცეს ადვოკატს, სახელმწიფოებმა უნდა იპოვონ პროცედურული გამოსავალი, რათა თავიდან აირიდონ არასამართლიანი პროცესი, რა დროსაც სამართალწარმოების შეჩერება (მანამ სანამ ბრალდებულის სამედიცინო პირობები არ გაუმჯობესდება იმდენად, რომ შეძლოს სასამართლოს წინაშე გამოსვლა), ან ბრალდებულის მიმართ სამართალწარმოების შეწყვეტა, რითაც ბრალდებული განრიდდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, არის ერთადერთი გონივრული გამოსავალი, ხოლო საქმის განხილვის გაგრძელებამ შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის მიერ არასანდო ინფორმაციის მიწოდება, რაც მთელი სასამართლო განხილვას აყენებს რისკის ქვეშ, ხდის საეჭვოს.⁷⁰ ჯერ კიდევ 1992 წელს კანადის კრიმინალურმა კოდექსმა მოაწესრიგა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა სს პასუხისმგებლობის საკითხი, რა ცვლილებების თანახმადაც, დაინერგა ე.წ. შეფასების სისტემა, რა პროცესშიც მონაწილეობას იღებენ სასამართლო, „განმხილველი (ექსპერტთა) საბჭო“ და ჯანდაცვის სისტემა, რაც აფასებს ფსიქიკურად დაავადებული პირის დისპოზიციას, რამდენად აქვს მას უნარი მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ხოლო 1999 წელს კანადის

⁶⁹ ECtHR, *T. v. The United Kingdom* (24724/94) and *V. v. The United Kingdom* App. (24888/94), joint decision of 16 December 1999, 91. ობ., <<http://hudoc.echr.coe.int>> [19.06.2021]

⁷⁰ Meysman M., *Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings*, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium. ობ., <<https://core.ac.uk>> [19.06.2021]

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში აკავებს ფსიქიკური აშლილობის მქონე ბრალდებულს, თუ ის წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს საზოგადოებისათვის და ეს საფრთხე კრიმინალური ხასიათისაა, ხოლო მცირე მნიშვნელობის დანაშაულებზე ათავისუფლებს პირს სს პასუხისმგებლობისგან.⁷¹ გარდა ამისა, განსაზღვრულია კრიტერიუმები, რის მიხედვითაც დგინდება, თუ რამდენად აქვს პირს უნარი მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ხოლო ასეთის არარსებობის დროს სასამართლო ვალდებულია ყოველ 2 წელში გადასინჯოს საკითხი.⁷² აგრეთვე, საინტერესოა ბრიტანული კოლუმბიის შემთხვევა, სადაც ყველა პირი, რომელიც სასამართლოს წინაშე წარსდგება უნდა შეფასდეს, აქვს თუ არა ფსიქიკური პრობლემები და შეუძლია თუ არა სასამართლო პროცესში მონაწილეობა, კერძოდ, პირს უნდა შეეძლოს გააცნობიეროს პროცესის ბუნება და მიზანი, გაიგოს შესაძლებელი შედეგები, შეძლოს კომუნიკაციის დამყარება, ხოლო თუ ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა ხელს უშლის დაცვის განხორციელებას, სასამართლო ვერ გაგრძელდება სანამ მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა არ აღდგება.⁷³ ხოლო ინგლისსა და უელსში არსებობს ადრეული სკანირების მექანიზმები პიროვნების შერაცხადობის შესამოწმებლად.⁷⁴

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ დაუშვებელია შეურაცხადი ბრალდებულის გასამართლება, მისთვის გამამტყუნებელი განაჩენის დაკისრება ნებისმიერი, თუნდაც ლეგიტიმური მოტივით. ამდენად, ერთ მხრივ სახეზეა ბრალდებულის კონსტიტუციის

⁷¹ ელიაშვილი მ., ზავრადაშვილი ნ., კვლევა ბრალდებულთა ფსიქიკური აშლილობის საკითხებზე-არსებული პრაქტიკა, პრობლემები, სამომავლო ხედვა, ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში, თბილისი, 2014, 21.

⁷² Scott A., REVIEW OF THE MENTAL DISORDER PROVISIONS OF THE CRIMINAL CODE, Report of the Standing Committee on Justice and Human Rights, 2002, 4.

⁷³ ელიაშვილი მ., ზავრადაშვილი ნ., კვლევა ბრალდებულთა ფსიქიკური აშლილობის საკითხებზე-არსებული პრაქტიკა, პრობლემები, სამომავლო ხედვა, ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში, თბილისი, 2014, 24.

⁷⁴ Meysman M., Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium.

გარანტირებული უფლება მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ხოლო მეორე მხრივ კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები ვერ უზრუნველყოფენ ბრალდებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზაციას, რაც პრობლემურია პირის მიმართ ბრალდების წარდგენის მომენტისთვისაც, რამეთუ ფსიქიკურად დაავადებული პირისთვის ბრალის წარდგენის შესაძლებლობას იძლევა, რომელსაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად არ შეუძლია გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღება და მოქმედება და ასევე პრობლემურია რაიონული, საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის კუთხით.⁷⁵

2.2. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის შემთხვევები

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ეროვნულმა სასამართლოებმა ყოველ კონკრეტულ საქმეში უნდა უზრუნველყონ, რომ კონვენციის მოქმედების ფარგლებში სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები დაცულია.⁷⁶ სამართლიანი სასამართლოს უფლების მიზანია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ პირს ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს მისი საქმის განხილვაში.⁷⁷ შესაბამისად, ბრალდებულისთვის როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ დონეზე მინიჭებულ მინიმალურ გარანტიას წარმოადგენს მისი უფლება თვითონ ან ადვოკატის მეშვეობით დაიცვას თავი.⁷⁸ ბრალდებულს უფლება აქვს, დაესწროს სასამართლო განხილვას.⁷⁹ სასამართლო განხილვაში ბრალდებულის მონაწილეობა არ არის აუცილებელი მხოლოდ დაცვის

⁷⁵ თელავის რაიონული სასამართლოს №1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

⁷⁶ ECtHR DOMBO BEHEER B.V. v. THE NETHERLANDS, *Application no. 14448/88*, 1993, 33.

⁷⁷ იბ., <<https://www.legislationline.org>> [30.05.2021]

⁷⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი. იბ., <<https://matsne.gov.ge>> [25.05.2021].

⁷⁹ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ინტერესებისთვის. ის ხელს უწყობს სასამართლოს ბრალდებულის შესახებ შთაბეჭდილების შექმნაში და მისი განცხადებების მოსმენის საშუალებას აძლევს,⁸⁰ ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსამართლისთვის საქმეზე საბოლოო შედეგის განსაზღვრისას ერთ-ერთი ინდიკატორი, რაზე დაყრდნობითაც იღებს გადაწყვეტილებას არის მისი შინაგანი რწმენა,⁸¹ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ ბრალდებულის მონაწილეობამ და მისმა ქცევამ გავლენა იქონიოს მისი შინაგანი რწმენის, ბრალდებულის პიროვნების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე, საბოლოოდ, გადაწყვეტილების მიღებაზე. ადამიანის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, ზემოხსენებული დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, თითქოს ყოველთვის დაუშვებლად მიიჩნეოდეს ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლება მისი არყოფნის მიზეზების მიუხედავად.⁸² ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ მიუხედავად წარმოდგენილი ღირებულების უმნიშვნელოვანესი ხასიათისა, რისი უზრუნველყოფაც შემდგომში ამ და სხვა მრავალი უფლებით სარგებლობის გარანტს წარმოადგენს, მათ შორის, გამოიკვლიოს მტკიცებულებები, წარსდგეს სასამართლოს წინაშე საბოლოო სიტყვით და ა.შ. , არ არის აბსოლუტური ხასიათის და რიგ შემთხვევებში გამართლებულია მისგან გამონაკლისის დაშვება.

2.2.1. გამონაკლისები დისციპლინური მიზეზებიდან გამომდინარე ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევება წარმოადგენს ერთ-ერთ შემთხვევას, რა დროსაც გამართლებულია მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა.⁸³ შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ერთმანეთს უპირისპირდება ბრალდებულის უფლება მიიღოს

⁸⁰ ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 272.

⁸¹ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

⁸² ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 272., იხ., დანიელ მონგუტა მბენგე (Daniel Monguta Mbenge) ზაირის წინააღმდეგ, § 76.

⁸³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მონაწილეობა საქმის განხილვაში და სასამართლოს ჯეროვნად ფუნქციონირება, სხდომის მშვიდ, სამუშაო გარემოში განხორციელება. კონფლიქტი წარმოიქმნება, როდესაც ბრალდებული არ ემორჩილება სასამართლო განხილვის ნორმალურად წარმართვის მიზნით დადგენილ ქცევის წესებს⁸⁴, კერძოდ, სხდომის თავმჯდომარე სხდომაზე წესრიგის დარღვევის, თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში უფლებამოსილია ზეპირი შენიშვნა მისცეს პირს და მოუწოდოს არასათანადო ქცევის შეწყვეტისკენ, ხოლო ასეთი მოწოდების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, როდესაც ფაქტობრივად შეუძლებელია საქმის განხილვის გაგრძელება, ბრალდებულის არასათანადო ქცევის გამო, რაც შეიძლება პროცესის მონაწილეთა შეურაცხყოფაშიც კი აისახოს, რაც ყოვლად დაუშვებელია და სასამართლო ხდება უფლებამოსილი (და თუ გავითვალისწინებთ მოსამართლის როლს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის მთავარი არბიტრი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქმის განხილვა, სხდომის მიმდინარეობა) და ვალდებული, რომ მიიღოს სათანადო ზომები. სასამართლოს გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ⁸⁵. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარეს უფლება აქვს იმოქმედოს არჩეული სტრატეგიის მიხედვით, ეს არ გულისხმობს ნებისმიერი არგუმენტის შეუზღუდავი გამოყენების უფლებას, მათ პატივი უნდა სცენ სხვა ადამიანის უფლებებს, ბრალდებულის თავის დაცვის მიზანი არ ამართლებს მესამე პირთა უფლებების შელახვას ანდა სხვა ადამიანისთვის დანაშაულის დაბრალებას.⁸⁶ შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ვალდებულია ყოველთვის იმოქმედოს კლიენტის

⁸⁴ ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 272.

⁸⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁸⁶ ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 280. იხ., ბრანდშტეტერი (Brandstetter) ავსტრიის წინააღმდეგ, § 52.

ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი როგორც პირადი, ასევე სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა⁸⁷, უმთავრესია აღნიშნული განხორციელდეს ნორმების ფარგლებში და არ მიაყენოს ზიანი სხვა პირთა ინტერესებს. აღნიშნული გამომდინარეობს ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლების არსიდან, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს უფლება სხვა ღირებულებებთან ერთად სხვა ადამიანის ღირსების დაცვის ვალდებულებას ეფუძნება.⁸⁸ ბრალდებულმა შეიძლება არეულობა შეიტანოს სამართალწარმოებაში თავისი საუბრით, ყვირილით, ძალადობრივი ქმედებით ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ სასამართლოში გამოცხადებით, თეორიულად, შესაძლებელია ასეთ ქცევაზე რეაგირება ძალის გამოყენებით, პირის შებოჭვით ან მის დასამშვიდებლად შესაბამისი მედიკამენტების გამოყენებით. თუმცა სასამართლო წესრიგი მაინც დაირღვევა და ბრალდებულის, სასამართლოს და ყველა დამსწრის ღირსება შეილახება. ამიტომ შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი პირების გაძევება სასამართლო დარბაზიდან, თუმცა გაძევების გამოყენება დაუშვებელია სასჯელის სახით.⁸⁹ აქედან ჩანს, რომ ბრალდებულის მიერ გამოხატულ აგრესიაზე ან სხვა არასათანადო ქცევაზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ინტენსიურია ის, სასამართლოს მხრიდან არ უნდა მოჰყვეს ისევ ძალადობითი მეთოდებით ბრალდებულის მხრიდან განხორციელებული დარღვევათა აღკვეთა, რაც უფრო მეტი დისონანსი იქნებოდა და უარყოფითად იმოქმედებდა როგორც მართლმსაჯულების, ისე უშუალოდ ბრალდებულის ინტერესებზეც, ამიტომ საუკეთესო გამოსავალია ბრალდებულ გაძევებულ იქნეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რაც

⁸⁷ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი. იხ., <<https://www.gba.ge/pdf>> [31.05.2021]

⁸⁸ თოფურიძე ნ., საქმის სამართლიანი განხილვის უფლება საერთაშორისო სისხლის სამართლის კონტექსტში, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 81. იხ., <<https://www.tsu.ge>> [01.06.2021]

⁸⁹ ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 273. იხ., X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 8386/78.

მიზნად უნდა ისახავდეს არა მის დასჯას ჩადენილი საქციელის გამო,⁹⁰ არამედ საქმის განხილვის ადეკვატურ გარემოში გაგრძელებას. თუმცა ხაზგასასმელია, რომ მოსამართლეს ეკისრება ვალდებულება, რომ ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებამდე მისთვის ცნობილი გახადოს არასათანადო ქცევისთვის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, საქმის განმხილველმა მოსამართლემ უნდა დაადგინოს, რომ აპლიკანტს გონივრულად უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მის ქცევას მოყვებოდა მოსამართლის შესაბამისი გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი გაძევების შესახებ,⁹¹ რაც შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი გაფრთხილების ან გარკვეული ხნის განმავლობაში საქმის გადადებით, რაც ბრალდებულს საშუალებას მისცემს თავს კონტროლი გაუწიოს და შეაფასოს მისი ქმედებით გამოწვეული შედეგები.⁹² სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა ემსახურება როგორც მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების მიზანს, ასევე განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდას.⁹³ სასამართლოში წესრიგის დაცვაში მონაწილეობს მანდატურის სამსახური.⁹⁴ აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილი საფუძვლების შემთხვევაში, სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას წესრიგის დამრღვევი პირის გაძევებას სხდომის დარბაზიდან, იგი ზეპირ შენიშვნას აძლევს პირს და მოუწოდებს არასათანადო ქცევის შეწყვეტისკენ, ხოლო აღნიშნული მითითების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ხდება უფლებამოსილი დააჯარიმოს, გააძევოს ან მიიღოს სხვა უფრო მკაცრი კანონით დადგენილი გადაწყვეტილება (შენიშვნა დაპატიმრება

⁹⁰ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიმიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016,

⁹¹ *Idalov v. Russia*, App. No. 5826/03, Eur. Ct. H.R. (2012), ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-110986>

⁹² იბ., <<http://www.supremecourt.ge>> [06.09.2021] იბ., Id. 177.

⁹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 309.

⁹⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

და ა.შ.).⁹⁵ ბრალდებული, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მხარეს და რომელსაც არაერთხელ, მათ შორის, მოსამართლის მიერ განმარტებული აქვს თავისი უფლებები, სასამართლოში მოქცევის წესები, და მეტიც, პირველივე დარღვევაზე სასამართლოს მიერ მოწოდებულია დაიცვას წესრიგი, იქცევა შეუსაბამოდ და იწვევს აურზაურს თავისი განმარტებებიდან, შემახილებიდან, თუ ქმედებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამას აკეთებს სრული შეგნებითა და ნების ავტონომიით, ვინაიდან მინიმუმ სასამართლოს მიერ მისთვის გაკეთებული განმარტებიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ ბრალდებულს შეუძლია თავისი ქცევის შედეგების განჭვრეტა, თუმცა როდესაც ამის მიუხედავად ბრალდებული აგრძელებს სასამართლოსთვის შეუფერებელ ქცევას, მართალია ვერბალურად უარს არ აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, თუმცა მისი ქმედებიდან გამომდინარე ადგილი აქვს უფლებაზე ე. წ. ნაგულისხმევ უარს⁹⁶.

2.2.2. უარის თქმის უფლება

ბრალდებულისთვის მინიჭებული შესაძლებლობა პირდაპირ ან არაპირდაპირ თქვას უარი სასამართლო განხილვაზე დასწრებაზე⁹⁷ მიგვანიშნებს, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობა მისი უფლებაა და არა ვალდებულება. საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება არ ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს, მიიყვანონ ბრალდებულები საქმის მოსმენაზე, თუ ისინი თავად არ იჩენენ საკმარის ძალისხმევას, რომ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში⁹⁸. ეს მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან ყოვლად წარმოუდგენელია ადამიანი აიძულო მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესებში მიუხედავად იმისა, რომ მისი

⁹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 310.

⁹⁶ ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 274.

⁹⁷ COLOZZA v. ITALY (Application no. 9024/80) JUDGMENT STRASBOURG 12 February 1985, 28. ობ., <<https://www.juridice.ro>> [30.05.2021]

⁹⁸ Vitkauskas D., Dikov G., Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Concil of Europe, Strasbourg, 2012, 54. ობ., <<https://rm.coe.int>> [30.05.2021]

სისხლის სამართლის საქმე განხილვა, თუ ასეთი ნება მისი მხრიდან არ არსებობს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მას შეუძლია როგორც პირდაპირ განაცხადოს მისი საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარი, აგრეთვე ეს გამომდინარეობდეს მისი ქმედებებიდან.⁹⁹ ზემოხსენებულ საერთაშორისო სტანდარტს შეესაბამება ქართული კანონმდებლობა და ბრალდებულის უშუალო მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის ერთ-ერთ შემთხვევად ბრალდებულის მხრიდან მისი საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარს აცხადებს, რაშიც უპირველეს ყოვლისა უნდა ვიგულისხმოთ ბრალდებულის მიერ სასამართლოში გამოცხადებაზე თავის არიდების შემთხვევა¹⁰⁰. თავის არიდების კლასიკური შემთხვევაა, როდესაც ბრალდებული მიმალულია და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, თუნდაც ინტერპოლის მეშვეობით.¹⁰¹ აგრეთვე, საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც ბრალდებულმა პროცესზე დაუსწრებლობა გამოიწვია იმით, რომ საკუთარი ადგილსამყოფელი მისივე მიზეზით გახდა უცნობი.¹⁰² აღნიშნული პოზიციის საპირისპიროდ, სერიოზულ შემთხვევებს იწვევს პროცესის ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარება სამართლიანობის კუთხით, როდესაც სასამართლოები უშვებენ ვარაუდს, რომ ბრალდებული თავს არიდებს სასამართლო პროცესს.¹⁰³ თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იგივე სამართლიანობის კრიტერიუმიდან გამომდინარე იმ საქმის განხილვის შეჩერება ან თუნდაც გადადება მხოლოდ და მხოლოდ იმის, გამო, რომ ბრალდებული არ ცხადდება სასამართლოში (თუნდაც მიმალვის შემთხვევა, რაც არც თუ ისე იშვიათია,

⁹⁹ Herath E., *Trials in Absentia: Jurisprudence and Commentary on the Judgment in Chief Prosecutor v. Abul Kalam Azad in the Bangladesh International Crimes Tribunal*, Harvard International Law Journal, 2014, 5. იბ., <<https://harvardilj.org>> [30.05.2021]

¹⁰⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁰¹ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიძიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 19.

¹⁰² ECtHR, *Medenica v. CH*, Application no. 20491/92, 2001, 53.

¹⁰³ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში - საქართველო, ვარშავა, 2014, 99. იბ., <<https://www.osce.org>> [30.05.2021]

როდესაც ბრალდებულები მოსალოდნელი სასჯელის ან სხვა მიზეზის გამო ემალებიან მართლმსაჯულებას) და ვერც ხერხდება მისი პოზიციის გაგება ამ საკითხთან დაკავშირებით, არ არის მისასალმებელი, ვინაიდან ამ დროს დღის წესრიგში ბრალდებულის პროცესში მონაწილეობის უფლების გარდა, სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებები დგას, მაგალითად, როგორცაა დანაშაულის გახსნის, გამოძიების, საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების, სამართლიანობის აღდგენის, საჯარო და დაზარალებულის ინტერესების დაცვა, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი, რისი დაცვის და აღდგენის პოზიტიურ-ნეგატიური ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია. გარდა ამისა, ასეთი ბრალდებულის მოძიება და მართლმსაჯულების ორგანოებში წარდგენა შეიძლება დროის დიდ პერიოდთან იყოს დაკავშირებული, ანდა საერთოდ ვერ მოხერხდეს, რა დროსაც გვექნებოდა შემთხვევა, როდესაც მართლმსაჯულების განხორციელება ყველაზე კარგ შემთხვევაში დროის ხანგრძლივ პერიოდში გაჭიანურდებოდა ან საერთოდ ვერ განხორციელდებოდა, რაც, რა საკვირველია, გაუმართლებელია. აგრეთვე, შესაძლებელია ბრალდებული არ იყოს ძეხნილი და შესაძლებელი იყოს მასთან კომუნიკაცია, თუმცა უარს აცხადებდეს პროცესში მონაწილეობაზე, მეტიც, ასეთ დროს აუცილებელი არ არის ბრალდებულის მიერ თავისი გამოუცხადებლობის საფუძვლიანი მიზეზების მოყვანა¹⁰⁴, რა დროსაც საქმის განხილვა ასევე გრძელდება მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე.¹⁰⁵ რა საკვირველია, ორივე შემთხვევაში ბრალდებულები უზრუნველყოფილნი არიან დაცვის უფლებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქმის განხილვა გრძელდება ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით,¹⁰⁶ რაც წარმოადგენს გარანტს, რომ ბრალდებული მაინც ისარგებლეს მისთვის კანონით მინიჭებული დაცვის

¹⁰⁴ ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 273.

¹⁰⁵ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიმიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 19.

¹⁰⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილი.

უფლებით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ქართული რეალობა შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ სტანდარტსა და მის შესაბამისად განვითარებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

2.2.3. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე

ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლების შემთხვევებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე განსხვავებული მიდგომებია დამკვიდრებული, გამომდინარე იქედან, ის შეგნებულად თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, თუ გამოცხადებას ვერ ახერხებს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.¹⁰⁷ შედარება მართლაც ლოგიკურია, ვინაიდან ერთია, როდესაც გააზრებულ უარს ამბობ მონიჭებული უფლებით სარგებლობაზე, ხოლო მეორეა, როდესაც შენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ ახერხებ მისით სარგებლობას. ჯანმრთელობის მდგომარეობა სწორედ ადამიანის ნებისგან დამოუკიდებელ მიზეზს წარმოადგენს, ვინაიდან შეუძლებელია მასზე ზემოქმედება და აღნიშნული საკატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესის გადადების კანონისმიერი საფუძველია¹⁰⁸. ხოლო შემთხვევა, როდესაც ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით ხდება სასამართლო სხდომათა გადადება იმ პირობებში, რომ ბრალდებულს არ შეუძლია გადაადგილება, თუმცა მოწოდებულია, რომ მიიღოს საქმის განხილვაში

¹⁰⁷ ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 273. იხ., პუატრიმოლი (Poitrimol) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 30. ვან გეიზეხემი (Van Geyseghe) ბელგიის წინააღმდეგ, § 29, გოდი (Goddi) იტალიის წინააღმდეგ; კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ; კრომბახი (Krombach) საფრანგეთის წინააღმდეგ.

¹⁰⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მონაწილეობა, თუნდაც მართლმსაჯულების განხორციელების გაჭიანურება გამოიწვიოს, გამართლებულია.¹⁰⁹

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცალსახად ჩანს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობა არ ჯდება არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიზნებში და არც ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, პირიქით, ასეთ დროს მიზანშეწონილია, რომ სასამართლო სხდომა გადაიდოს მანამდე, სანამ ბრალდებულს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეეძლება საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება და ასეთი ვითარების გამო გადადებული პროცესები არ წარმოადგენს მოსამართლისთვის არც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს მართლმსაჯულების გაჭიანურების მოტივით,¹¹⁰ და არც კანონის და კონვენციის დარღვევას. თუ ამგვარი გარანტია უზრუნველყოფილია შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულს აქვს ფიზიკური ტკივილები, ან თუნდაც ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის დაზიანება, რაც დადასტურებულია სამედიცინო დოკუმენტაციით¹¹¹ და სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის მიჩნეულია საპატიო მიზეზად,¹¹² მაშინ იმ ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად ხდება სასამართლო სხდომის გადადება, ხოლო როდესაც სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება პირს არ შეუძლია საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საქმის განხილვა გრძელდება მისი მონაწილეობის გარეშე, რა დროსაც, რა საკვირველია ირღვევა მისი უფლება უშუალოდ დაესწროს და მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მის მიმართ

¹⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის #სსდ-26-19 გადაწყვეტილება. იხ., <<http://www.supremecourt.ge>> [31.05.2021]

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 35.

¹¹² იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი.

ადგილი აქვს დისკრიმინაციულ მიდგომას, ვინაიდან ერთი და იგივე მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ ხდება განსხვავებული მიდგომა,¹¹³ კერძოდ, ორი ბრალდებულის, მიმართ რომელთაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები-ერთ შემთხვევაში ხდება სასამართლო სხდომის გადადება მისი საქმის განხილვაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ხოლო მეორე შემთხვევაში მისი მონაწილეობის გარეშე გრძელდება საქმის განხილვა. კვლევის საგნისთვის მნიშვნელოვანია საქმე-თელავის რაიონული სასამართლოს პრაქტიკიდან, ბრალდებულ არჩილ ჯანგულაშვილს აღენიშნებოდა ფსიქიკის დროებითი აშლილობა-სხვა დაზუსტებული დისოციაციური აშლილობანი (ფსიქოგენური აბნევის მდგომარეობა, შესაბამისად გამომდინარე იქედან, რომ ბრალდებულს ფსიქიკის დროებითი აშლილობა აღენიშნება, შესაძლებელია მომავალში მისი გამოჯანმრთელება და ამის მიუხედავად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი რეგულაციები, ბრალდებულს საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლებას უზღუდავს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ანუ, თუკი ბრალდებულს, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, თუნდაც დროის მცირე მანძილზე არ შეუძლია სასამართლო განხილვაში მონაწილეობა, მას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გამოჯანმრთელების შემდეგ ერთმევა საქმის განხილვაში მონაწილეობისა და მიღებულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.¹¹⁴

2.3. ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლების შემთხვევებისთვის დადგენილი მინიმალური გარანტიები

მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას a priori არ წარმოადგენს ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროსაბჭოსა და გაეროს

¹¹³ იხ., <<https://jelec.iliauni.edu.ge/mukhli-14/>> [31.05.2021]

¹¹⁴ თელავის რაიონული სასამართლოს №1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

მიერ ჩამოყალიბებულია მინიმალური გარანტიები, განსაზღვრულია სტანდარტი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა არ იქნეს დარღვეული ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმის განხილვაში უშუალოდ მონაწილეობის უფლება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ღირებულებაა ბრალდებულისთვის საქმის განხილვაში მონაწილეობა. ფაქტობრივად, ამ უფლებით სარგებლობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქმეზე დამდგარი საბოლოო შედეგი-იქნება ეს გამამტყუნებელი, თუ გამამართლებელი განაჩენის სახით. გარდა ამისა, ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელ ერთადერთ ორგანოს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს,¹¹⁵ რომლის მისიაა ყველასთვის უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება და ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას.¹¹⁶ ვინაიდან სწორედ მართლმსაჯულების გზით შეუძლიათ ადამიანებს იდავონ თავიანთი დარღვეული, თუ სადავო უფლებების დასაცავად,¹¹⁷ სასამართლო წარმოადგენს ერთადერთ გარანტს, რათა ადამიანებმა თავი დაიცვან მათ მიმართ განხორციელებული დარღვევებისგან, იქნება ეს სამოქალაქო ურთიერთობებიდან გამომდინარე, თუ სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება სისხლის სამართალწარმოებას, რომელიც *ultima ratio* ხასიათიდან გამომდინარე¹¹⁸ მეტად კრიტიკულ ჩარევას წარმოადგენს ადამიანის უფლებებში. შესაბამისად, სასამართლო უნდა იყოს ის ერთადერთი იმედი, რაც ადამიანს განმსჭვალავს რწმენით, რომ მისი ინტერესები დაცული იქნება ნებისმიერი უკანონობისგან. აგრეთვე, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლება ნებისმიერი იმ განვითარებადი

¹¹⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი. იხ., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019, 51.

¹¹⁶ სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, იხ., <<http://hcoj.gov.ge>> 07.06.2021.

¹¹⁷ იხ., <<https://constcourt.ge/ka/judicial>> [09.06.2021]

¹¹⁸ იხ., <<https://core.ac.uk>> [09.06.2021]

სახელმწიფოსთვის, რომელიც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას ადგას, უმნიშვნელოვანესი საზრუნავია, ხოლო ხსენებულ ფაქტორს სწორედ საზოგადოების მართლმსაჯულების ორგანოსადმი დამოკიდებულება განაპირობებს, რა დადებითი განწყობაც გამორიცხებულია არსებობდეს იმ პირობებში, როდესაც ადამიანი მონაწილეობას ვერ მიიღებს მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში.

2.3.1. დაცვის უფლებით უზრუნველყოფის სავალდებულობა

როდესაც ხდება ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლება მტკიცებულებები მიღებულ უნდა იქნეს ჩვეულ რეჟიმში და დაცვას უფლება უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში,¹¹⁹ საიდანაც ჩანს, რომ მიუხედავად ბრალდებულის საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობისა მის მიმართ დაცვის ფუნდამენტური უფლება მაინც უზრუნველყოფილია, რაც ლოგიკურია, ვინაიდან ყოვლად წარმოუდგენელია სასამართლოში პროცესის წარმართვა მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით, როდესაც მეორე მხარეს არ ექნება საშუალება გამოთქვას მოსაზრებები ოპონენტის მიერ წარმოდგენილ ფაქტებზე, თუ გარემოებებზე ანდა წარმოადგინოს საკუთარი. შესაბამისად, საქმის განხილვა in absentia დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ისიც ეფექტიანი დაცვის განხორციელების უზრუნველყოფის პირობებში.¹²⁰ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვაზე პირის გამოუცხადებლობა შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოსადმი უპატივცემულობად, ხოლო ასეთ დროს ბრალდებულის მიმართ სასამართლოს დამოკიდებულება ჩვეულებრივ ნეგატიურია, რის გამოც სანქციის სახით შეიძლება მისი ქონებაც კი დაექვემდებაროს კონფისკაციას, აგრეთვე, ერთ-ერთ შესაძლო სანქციას წარმოადგენს თავის დაცვის

¹¹⁹ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS RESOLUTION (75) 11 ON THE CRITERIA GOVERNING PROCEEDINGS HELD IN THE ABSENCE OF THE ACCUSED, 21 May 1975, 5. ივ., <<https://rm.coe.int>> [30.05.2021]

¹²⁰ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიძიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 11.

უფლების ჩამორთმევა.¹²¹ აღნიშნული მიდგომა გაკრიტიკებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, რომლის პრეცედენტული სამართლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული შეგნებულად თავს არიდებს პირადად სასამართლოში გამოცხადებას, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მისი დაცვა განხორციელდეს ადვოკატის მიერ, ე. ი. ბრალდებულს უნარჩუნდება უფლება მის მიერ არჩეული დამცველის დახმარებაზე.¹²² აგრეთვე, საკანონმდებლო ხელისუფლებას უნდა შეეძლოს თავიდან აირიდოს სასამართლო პროცესზე გაუმართლებელი დაუსწრებლობა, იმ პირობით, რომ ყველა გამოყენებული სანქცია არ არის პროპორციული საქმის გარემოებებთან და ბრალდებულს არ აქვს ჩამორთმეული უფლება დაცული იქნეს ადვოკატის მიერ.¹²³ სამართლებრივი წარმომადგენლობის ქონის უფლება ბრალდებულს იმ შემთხვევაშიც აქვს, თუ მან უარი თქვა დასწრებოდა სასამართლო პროცესს.¹²⁴

დაცვის უფლებით უზრუნველყოფის გარანტია განმტკიცებულია ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც და ამ მიმართულებით ჰარმონიზებულია ევროპულ სტანდარტთან, კერძოდ, ბრალდებულის მიერ სხდომაზე გამოცხადებაზე თავის არიდების შემთხვევაში საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.¹²⁵ ისევე, როგორც დისციპლინური მიზეზებიდან გამომდინარე ბრალდებულს სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლების შემთხვევაში.¹²⁶ აგრეთვე აღსანიშნავია, რომ

¹²¹ ტრეჟელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 274. ობ., FCB იტალიის წინააღმდეგ, § 35.

¹²² Poitrimol v. France, Eur. Ct. H.R. (1993) პარ. 32. ობ., <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57858>

¹²³ Sedjovic v. Italy, N. 56581/00, Eur. Ct. H.R., 92 (2000), ობ., <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-72629>.

¹²⁴ Pelladoah v. The Netherlands, App. No. 16737/90, Eur. Ct. H.R., 40 (1994), <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57902>.

¹²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹²⁶ იქვე, 45-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

ბრალდებულის დაუსწრებლობა მიჩნეულია სავალდებულო დაცვის შემთხვევად.¹²⁷

2.3.2. ბრალდებულის ინფორმირებულობა

ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლებისთვის დადგენილ კიდევ ერთ გარანტიას წარმოადგენს ბრალდებულის სასამართლოში დაბარების წესი.¹²⁸ იმისათვის, რომ არ მოხდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა პირველ რიგში უნდა გაირკვეს საქმის განხილვის თაობაზე ბრალდებული არის თუ არა სათანადოდ ინფორმირებული.¹²⁹ ამდენად, ბრალდებულის უფლება არ მიიღოს მონაწილეობა მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, უნდა გამომდინარეობდეს მისი გაცნობიერებული უარიდან, რის წინაპირობასაც სწორედ სათანადო ინფორმირებულობა წარმოადგენს, რადგანაც დაუშვებელია სასამართლომ მიიჩნიოს თითქოსდა ბრალდებულს არ სურს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში იმ პირობებში, როდესაც მას საერთოდ არ აქვს ან არასათანადოდ აქვს მიწოდებული ინფორმაცია სხდომის თარიღისა და სხვა დეტალების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთიანი და მკაფიოა ევროპული სასამართლოს მიდგომა, კერძოდ, ევროპული სტანდარტი ხაზს უსვამს სახელმწიფო ორგანოების გულმოდგინედ მოქმედების ვალდებულებას, რათა ბრალდებულს შეატყობინონ საქმის განხილვის შესახებ.¹³⁰ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ერთ-ერთ საქმეში სათანადოდ არ შემოწმდა უშუალოდ ბრალდებულმა ჩაიბარა თუ არა უწყება მაშინ, როდესაც მთელი რიგი უზუსტობები იყო მისი ჩაბარების ყუაზე, ხოლო უშუალოდ უწყების ჩაბარების წესთან დაკავშირები ევროპული სასამართლო კონვენციის მე-6

¹²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 202.

¹²⁸ იბ., <<http://www.supremecourt.ge>> [09.06.2021]

¹²⁹ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიძიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 11.

¹³⁰ Emmerson B., Ashworth A., Macdonald A., Human Rights and Criminal Justice. Third Edition, London, Sweet&Maxwell, 2012, 581, <<https://books.google.ge/>> [10.06.2021]

მუხლის მიზნებისთვის განმარტავს, რომ ეროვნულ სასამართლოებს აკისრიათ ვალდებულება შეამოწმონ ბრალდებულის შესაძლებლობა მიეღოს ინფორმაცია მის მიმართ წარმოებული პროცესის შესახებ, ხოლო ის, რომ ბრალდებული სხვა წყაროდანაც (მაგალითად, მასმედია, პრესა) შეიტყობდა მის მიმართ საქმის განხილვის შესახებ არ ამცირებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.¹³¹ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ევროპული სასამართლო მოქმედების მაღალ სტანდარტს უწესებს სახელმწიფო ორგანოებს იქნება ეს სასამართლო, პროკურატურა, თუ პოლიცია, რათა მათ ეკისრებათ გულისხმიერების ვალდებულება, როდესაც მათი მხრიდან ბრალდებულის ინფორმირება ხდება საქმის განხილვის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებული ვალდებულება ჯეროვნად არ იყო განხორციელებული, როდესაც სახელმწიფო ორგანოებისთვის არ იყო დაფარული ბრალდებულის ახალი მისამართის შესახებ, მისი განმარტებით ბრალდებულს არ უნდა დაეკისროს იმის მტკიცების ტვირთი, რომ არ უცდია მართლმსაჯულებისგან დამალვა ან მისი არყოფნის მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის არსებობა,¹³² მეტიც, სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ვალდებულება, რომ სასამართლომ (სახელმწიფომ) უნდა დაამტკიცოს, რომ პირისთვის ცნობილი იყო სასამართლო განხილვის თარიღი,¹³³ რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შეტყობინების პროცესში სახელმწიფოს მიერ გულისხმიერების გამოჩენის ვალდებულებასა და მოქმედების მაღალ სტანდარტზე.

2.3.3. საქმის გადასინჯვის უფლება

ბრალდებულის სათანადო ინფორმირებისა და დაცვის უფლებით უზრუნველყოფასთან ერთად კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას საქმის

¹³¹ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიმიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 12. იხ., *Somogyi v. Italy* (No. 67972/01,

¹³² *COLOZZA v. ITALY* (Application no. 9024/80) JUDGMENT STRASBOURG 12 February 1985, 30.

¹³³ იქვე.

ხელახალი გადასინჯვის შესაძლებლობა წარმოადგენს. სამართლიანი სასამართლოს დაცვის მიზნებისთვის დაუსწრებელი გასამართლება არ წარმოშობს რაიმე პრობლემას სამართლიანობასთან დაკავშირებით, როდესაც შესაძლებელია მსჯავრდებულის საქმე ხელახლა იქნეს განხილული მის მიერ ასეთი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში ან თუ საქმის გადასინჯვა ავტომატურად მოხდება.¹³⁴ ბრალდებული უნდა აღიჭურვოს საქმის ხელახალი გადასინჯვის უფლებამოსილებით,¹³⁵ ბრალდებულს, რომლის სისხლის სამართლის საქმე განხილულ იქნა მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე უფლება აქვს სასამართლოსგან მოითხოვოს მისთვის წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობის არსებითი განსაზღვრა, ხოლო თუ არ ისარგებლებს მინიჭებული შესაძლებლობით, ჩაითვლება უფლებაზე უარის თქმად.¹³⁶ გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულს ჰქონდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მისი საქმის განხილვისას სხდომაზე დასწრების, აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.¹³⁷ საქმის ხელახლა გადასინჯვას გარკვეული პრევენციული დატვირთვაც აქვს, კერძოდ, ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ექვემდებარება შემდგომ გადასინჯვას, მოსამართლეებს უქმნის კეთილსინდისიერი მუშაობისა და შეცდომების, თუ თვითნებობის თავიდან აცილების ძლიერ მოტივაციას.¹³⁸ მართლმსაჯულების ინტერესი შეიძლება მოითხოვდეს აგრეთვე განმცხადებლის დასწრებას, თუ საჩივარი შეეხება

¹³⁴ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიმიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 15.

¹³⁵ Human Rights in the Administration of Justice, Office of the High Commissioner for Human Rights in Cooperation with the International Bar Association, Professional Training Series No. 9, New York and Geneva, 2003, 282, იხ.: <<https://books.google.ge>> [10.06.2021]

¹³⁶ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიმიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 15. იხ., B საფრანგეთის წინააღმდეგ, No. 10291/83.

¹³⁷ თუმანიშვილი გ., შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, მზია ლეკვეიშვილი – 85 საიუბილეო კრებული, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 115.

¹³⁸ ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 407.

სასჯელის სიმძიმეს.¹³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, ერთ-ერთ საქმეში მსჯავრდებულს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით, რაც გაასაჩივრა პროკურორმა, საჩივარი დაკმაყოფილდა და სასჯელი დამძიმდა, ხოლო მსჯავრდებულს არ მიეცა ზემდგომ ინსტანციაში მონაწილეობის შესაძლებლობა, რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ განმარტა, რომ ეს სამართალწარმოება ძალიან მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლისთვის და მოიცავდა არა მხოლოდ მისი პიროვნებისა და დანაშაულის ჩადენის დროს გონებრივი მდგომარეობის, არამედ მისი მოტივის შეფასებას.¹⁴⁰ ხოლო რაც შეეხება იმ ტექნიკურ საკითხს, თუ როდიდან აქვს მსჯავრდებულს გასაჩივრების უფლება, შეიძლება ითქვას, რომ გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მსჯავრდებულმა შეიტყო გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ.¹⁴¹ რაც შეეხება აღნიშულ სტანდარტთან ქართული კანონმდებლობის აპროქსიმაციას აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში, დაპატიმრებიდან, ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან, ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.¹⁴² აღნიშნული ნორმა მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა

¹³⁹ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიძიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 15.

¹⁴⁰ ტრექელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 295. იხ., კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 104.

¹⁴¹ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიძიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 15. იხ., Paul C., Das Abwesenheitsverfahren als rechtsstaatliches Problem, Rechtsvergleichende Untersuchung deutscher, englischer, französischer, niederländischer und österreichischer Regelungen angesichts der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte, 2007, 280.

¹⁴² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

მის მიმართ საქმის განხილვაში.¹⁴³ აგრეთვე, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს სააკველიაციო საჩივრის განხილვა მისი მონაწილეობის გარეშე, რა შემთხვევაშიც მსჯავრდებულს აღარ ექნება შესაძლებლობა, დაპატიმრების შემთხვევაში მოითხოვოს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ან დასაბუთებულობის ხელახალი გადასინჯვა მისი მონაწილეობით.¹⁴⁴ აღსანიშნავია, რომ მსგავსი წესი უნდა გავრცელდეს იმ მსჯავრდებულზე, რომელმაც თავის დროზე ნებაყოფლობით განაცხადა უარი თავისი საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობაზე ან გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან,¹⁴⁵ აგრეთვე, რა საკვირველია, იმ მსჯავრდებულზე, რომელმაც ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, რა შემთხვევაც არ არის დარეგულირებული კანონმდებლობით, შესაბამისად არსებული საკანონმდებლო რეგულაცია ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაგდენილ სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიებს. შეურაცხადი ბრალდებულის პროცესზე დაუსწრებლობას, ვერ შევადარებთ ძეგნილი ბრალდებულის მიმართ სასამართლო განხილვას, ვინაიდან თვალსაჩინოა, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით შეურაცხადი ბრალდებული არ აპირებს, რომ არ დაესწროს და თავი აარიდოს სასამართლოში მონაწილეობას, პირიქით, მას არა საკუთარი, ბრალეულობით, გონებრივი დაავადების გამო არ შეუძლია დასწრება, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს მართლმსაჯულებაზე უარის თქმას მაშინ, როდესაც მას უარი არ უთქვამს თავის უფლებაზე გამოცხადებულიყო

¹⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 770.

¹⁴⁴ იქვე.

¹⁴⁵ ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიძიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016, 22.

სასამართლო პროცესზე და არც რაიმე განზრახვა ჰქონია, რომ თავი აერიდებინა მისთვის.¹⁴⁶

III. დაცვის უფლება, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების კომპონენტი

ადამიანის უფლებებს რთული, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელიც, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვის, ხელისუფლების დანაწილებისა და დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზით, ინდივიდუალური უფლებებისთვის ბრძოლას უკავშირდება.¹⁴⁷ თანამედროვე სახით ამ უფლებების აღმოცენება მე-18 საუკუნის ბურჟუაზიულ რევოლუციებსა და გარდაქმნებს უკავშირდება, ხოლო კლასიკური გაგებით ადამიანის უფლება წარმოადგენს ინდივიდის სუბიექტურ დამცავ უფლებას სახელმწიფოს მიმართ.¹⁴⁸ ბრალდებული წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ და ცენტრალურ ფიგურას, რომელიც იძულებულია აიტანოს მის მიმართ განხორციელებული საპროცესო, საგამომიებო მოქმედებები, ამიტომაც სამართლიანია, რომ ის სარგებლობს მთელი რიგი უფლებებითაც, რომელთა შორის, უპირველესი და უმნიშვნელოვანესი დაცვის უფლებაა.¹⁴⁹ სასამართლო დაცვის გარანტია ძირითადი საპროცესო უფლებაა და წარმოადგენს საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მატერიალური სამართალი.¹⁵⁰ აღნიშნული ადამიანის უფლებათა დამცველი ღირებულება გარანტირებულია როგორც საკანონმდებლო, ისე კონსტიტუციურ და საერთაშორისო დონეზე. დაცვის უფლება გარანტირებულია საქართველოს

¹⁴⁶ თელავის რაიონული სასამართლოს №1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

¹⁴⁷ იხ., <<http://myrights.gov.ge>> [13.06.2021]

¹⁴⁸ კობახიძე ი., საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 2019, 49.

¹⁴⁹ იხ., <<https://iuristi.ge>> [13.06.2021]

¹⁵⁰ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008, 341.

კონსტიტუციით,¹⁵¹ რა კონსტიტუციური დებულებაც ინტერპრეტირებული უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის პირველი სამი ქვეპარაგრაფის მიხედვით.¹⁵² ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით.¹⁵³ ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდებული კვალიფიციური იურისტის დახმარების გარეშე მოკლებულია დაცვის სათანადოდ განხორციელებისა და საპროცესო უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, ამიტომ კანონი მას ანიჭებს ადვოკატის მოწვევის უფლებას, ხოლო თუ მას არ გააჩნია ადვოკატის მოსაწვევად საკმარისი სახსრები, იგი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით,¹⁵⁴ ვინაიდან სასამართლო დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე.¹⁵⁵

3.1. დაცვის უფლების განხორციელება პირადად ბრალდებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, ჯეროვნად და ეფექტურად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებებისგან.¹⁵⁶ ქართული სისხლის საპროცესო სამართლის მიხედვით, ნებისმიერ პირს, ვისაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და თავი დაიცვას პირადად, გარდა სავალდებულო დაცვის შემთხვევებისა.¹⁵⁷ აღსანიშნავია, რომ ადვოკატის მომსახურებით

¹⁵¹ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის № 1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.2.

¹⁵³ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 182.

¹⁵⁵ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008, 344.

¹⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 182.

¹⁵⁷ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი, პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 544. იხ., <<http://www.library.court.ge>> [13.06.2021]. იხ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

სარგებლობა ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება.¹⁵⁸ მას ადვოკატის მომსახურების გარეშეც შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი ინტერესების დაცვა, რისთვისაც ბრალდებულს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება.¹⁵⁹ დაცვის მომზადებისთვის გონივრული დრო დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკასა და სირთულეზე, ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაცვის მხარეს საკმარისი დრო მიეცეს საქმის მასალების გასაცნობად და საკუთარი პოზიციის მოსამზადებლად.¹⁶⁰ ცხადია, წარმოუდგენელია შეურაცხადმა ბრალდებულმა შეძლოს საკუთარი თავის სამართლებრივი დაცვა, შესაბამისად უფლების ამ ნაწილით ის ვერ ისარგებლებს, ხოლო რაც შეეხება ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით საქმის განხილვის გაგრძელების მიზანშეწონილობას, ნაშრომის მომდევნო ეტაპზე იქნება განხილული.

3.2. დაცვა ადვოკატის მეშვეობით

3.2.1. დაცვა შეთანხმებით

ბრალდებულის მიერ დამცველის ყოლის უფლება გამოიყენება ჯერ კიდევ სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ სტადიაზე, როგორც წესი, მისი პირველი დაკითხვის მომენტიდანვე.¹⁶¹ ამ პათოსს იზიარებს ქართული სისხლის სამართლის პროცესი, რომლის თანახმადაც ბრალდებულისთვის დაცვის უფლება წარმოიქმნება მისი პირველივე შემხებლობიდანვე სისხლის სამართლის პროცესთან-სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან, ხოლო დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე, ან თუ დაკავება არ ხდება-ბრალდებულად ცნობისთანავე,¹⁶² რაც იმას ნიშნავს, რომ

¹⁵⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 183.

¹⁵⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

¹⁶⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 183.

¹⁶¹ *Salduz v. TUR*, 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, აპლიკაციის ნომერი 36391/02, პარ. 55.

¹⁶² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ამ მომენტიდან პირი იძენს ბრალდებულის სტატუსს და მასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს, შესაბამისად იგულისხმება, რომ სწორედ ამ მომენტიდან ხდება იგი დაცვის უფლებით აღჭურვილი პირი როგორც ბრალდებული, თუმცა აღსანიშნავია, რომ მანამდეც შეუძლია მიმართოს ადვოკატს კონსულტაციისთვის, გაიზიაროს მისი რჩევები საგამომიებო ორგანოში გამოკითხვისას და ა.შ. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მოთხოვნა დამცველის დახმარებაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ – მაქსიმალურად გონივრულ დროში.¹⁶³

3.2.2. სავალდებულო დაცვა

სისხლის სამართლის პროცესში დამცველის ყოლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სათანადო საფუძვლების არსებობისას ბრალდებულს უფლება აქვს უფასო იურიდიულ დახმარებაზე, რაც ევროპული სტანდარტის მიხედვით, დაკავშირებულია ორი წინაპირობის არსებობასთან, კერძოდ, საკმარისი მატერიალური საშუალების უქონლობა და აუცილებლობა მართლმსაჯულების ინტერესებისათვის.¹⁶⁴ დამცველის მონაწილეობის აუცილებლობის შემოწმების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ბრალდებულისათვის საქმის მნიშვნელობას (განსაკუთრებით, სასჯელის ღონისძიების მოცულობას), შემთხვევის ფაქტობრივ და სამართლებრივ სირთულეს და ბრალდებულის ინდივიდუალურ გარემოებებს.¹⁶⁵ ევროპული სტანდარტის მიხედვით, ყველა შემთხვევაში დაცვა უნდა იყოს ეფექტიანი,¹⁶⁶ შესაბამისად სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, როდესაც ბრალდებულს უქონლობის გამო არ შესწევს

¹⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის № 2/3/182,185,191 გადაწყვეტილება.

¹⁶⁴ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი, პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 545.

¹⁶⁵ ECtHR Benham v. UK, *Application no. 19380/92*, 1996, 60.

¹⁶⁶ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი, პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 546.

შესაძლებლობა აიყვანოს ადვოკატი, ხოლო თვითონ ვერ ახორციელებს საკუთარი თავის დაცვას, დაუნიშნოს ადვოკატი. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში წარდგენილი ბრალდებისაგან დაცვის სტრატეგიის არჩევა ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია მინდობილი იყოს ბრალდებულზე,¹⁶⁷ შესაბამისად კანონმდებელმა გაითვალისწინა მართლმსაჯულების ინტერესი და გაითვალისწინა სავალდებულო დაცვის შემთხვევები. სავალდებულო დაცვის შემთხვევა ძირითადად არსებობს, როდესაც ბრალდებული სხვადასხვა მიზეზით თავად ვერ შეძლებს ჯეროვანი დაცვის განხორციელებას, ანდა, როდესაც ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე განაპირობებს ბრალდებულის ეფექტიანი დაცვით უზრუნველყოფის აუცილებლობას.¹⁶⁸ სავალდებულო დაცვის შემთხვევებიდან კვლევის საგნისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე მათგანის განხილვა, კერძოდ, სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, თუ აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას.¹⁶⁹ შეურაცხადი ბრალდებული სწორედ მსგავს მდგომარეობაშია, ვინაიდან მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე დამოუკიდებლად არ შეუძლია განახორციელოს სამართლებრივი დაცვა და წაყენებული ბრალდებების განეიტრალება, მეტიც, მან შეიძლება გაუცნობიერებელი ზიანიც კი მოუტანოს საკუთარ თავს ბრალდების დამტკიცების, თუ დამძიმების სახით, შესაბამისად, კანონმდებელმა მიიჩნია, რომ მას აქვს განსაკუთრებული საჭიროება და მისთვის უზრუნველყოფილია ადვოკატის ხელმისაწვდომობა, (განსაკუთრებულ საჭიროების არსებობაზე მოწმობს კიდევ ერთი სავალდებულო დაცვის შემთხვევა-როდესაც ტარდება სასამართლო-

¹⁶⁷ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 137.

¹⁶⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 202.

¹⁶⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. იხ., <<https://matsne.gov.ge>> [14.06.2021].

ფსიქიატრიული ექსპერტიზა,¹⁷⁰ ე.ი. ამ დროსაც კანონმდებელი თვლის, რომ შერაცხადობის საკითხის გადაწყვეტის წამოჭრისას მნიშვნელოვანია ბრალდებული არ იყოს მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე და მის ინტერესებს იცავდეს ადვოკატი.) თუმცა ეს a priori არ წარმოადგენს ბრალდებულისთვის დაცვის უფლების და მთლიანად სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფას, ვინაიდან ამ დროს საქმის განხილვა გრძელდება ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, საქმეში ადვოკატის სავალდებულო ჩართულობით, რაც მისასაღმებელი, თუმცა არასაკმარისია სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი გარანტიისთვის, ვინაიდან დაცვის უფლებს არსი არის ის, რომ ბრალდებულს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა საკუთარი თავის დაცვისა და არა სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის შაბლონური მონაწილეობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება შინაასობრივად ადამიანის სრულყოფილ, ყოვლისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს,¹⁷¹ რაც ნაკლებად სავარაუდოა იმ პირობებში, როდესაც ადვოკატსა და ბრალდებულს ვერ აქვთ ჯეროვანი კომუნიკაცია დაცვის სტრატეგიისა და სხვა ნიუანსების შეთანხმებისას.

3.3. შეურაცხადი ბრალდებულის დუმილის უფლება და თვითინკირიმინაციის აკრძალვის პრინციპი

დუმილის უფლება ბრალდებულის მირანდას უფლებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია,¹⁷² რაც განმტკიცებულია როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ დონეზე და მის უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაცვის უფლება. ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს

¹⁷⁰ იხ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 201.

¹⁷¹ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008, 341.

¹⁷² იხ., <<http://www.mirandawarning.org>> [20.06.2021]

დანაშაული.¹⁷³ ბრალდებულს არ ეკისრება საკუთარი თავის საზიანოდ სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობის ვალდებულება,¹⁷⁴ რაც წარმოადგენს იმისა გამოვლინებას, რომ *nemo tenetur se ipsum accusare*¹⁷⁵ და ბრალდებულის დუმილის უფლებაც სწორედ აქედან მომდინარეობს,¹⁷⁶ პირის უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, უპირატესად ეხება ბრალდებული პირის უფლების პატივისცემას, დაიცვას დუმილი.¹⁷⁷

შეურაცხადი ბრალდებულების შემთხვევაში არსებობს მოლოდინი, რომ მათ ექნებათ სირთულეები კითხვების გააზრებისა და პასუხის გაცემის დროს, მათ შორის, ინფორმაციის დამუშავებისა და გახსენების დროს, ასევე არსებობს საფრთხე, რომ მისცემენ საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენებას, დანაშაულის მცდარი აღიარების ჩათვლით, ვინაიდან ისინი შეიძლება იყვნენ შემგუებლები ზეწოლის მიმართ და დაირღვეს თვითინკრიმინაციის პრივილეგია.¹⁷⁸ ევროპული სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის დუმილის უფლებას და უფლებას არ ცნოს თავი დამნაშავედ.¹⁷⁹

3.4. ბრალდებულისა და ადვოკატის ურთიერთობის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში
დაცვის მხარეს ბრალდებულთან, მსჯავრდებულთან და გამართლებულთან ერთად წარმოადგენს მათი ადვოკატი.¹⁸⁰ ჯეროვნად

¹⁷³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁷⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 180.

¹⁷⁵ იხ., <<https://www.oxfordreference.com>> [20.06.2021]

¹⁷⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 182.

¹⁷⁷ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნაღბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005, 135.

¹⁷⁸ Nemitz, T., & Bean, P. (2001). Protecting the rights of the mentally disordered in police stations: The use of the appropriate adult in England and Wales. *International Journal of Law and Psychiatry*, 2001, 24.

¹⁷⁹ Funke v. France, *Appplication No. 10828/84*, 1993, 44.

¹⁸⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილი.

განხორციელებული დაცვა მნიშვნელოვნად განაპირობებს საქმეზე ბრალდებულისთვის სასიკეთო საბოლოო შედეგს, იქნება ეს ბრალდების შემსუბუქება, თუ გამამართლებელი განაჩენი, ხოლო ჯეროვნად განხორციელებულ დაცვას განაპირობებს ბრალდებულისა და ადვოკატის სათანადოდ წარმართული ურთიერთობა. ვინაიდან ბრალდებული ბრალდების მხარესთან მიმართებით არათანასწორ პოზიციაში იმყოფება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადვოკატის საქმის განხილვაში მონაწილეობა, ვინაიდან სამართლებრივ სახელმწიფოში წარდგენილი ბრალდებისაგან დაცვის სტრატეგიის არჩევა ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია მინდობილი იყოს ბრალდებულზე.¹⁸¹ შეიძლება ითქვას, რომ ადვოკატი წარმოადგენს მის სამართლებრივ ხმას, რომელიც დაცვის ქვეშ მყოფის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იშველიებს სამართლებრივ არგუმენტებს და პოზიციონირებს სასამართლოს წინაშე, აქარწყლებს ბრალდების მტკიცებულებებს პასიური დაცვის შემთხვევაში და წარადგენს საკუთარს. წარმოუდგენელია ადვოკატმა ბრალდებულის პოზიციებისა და ვერსიების მოსმენის გარეშე განახორციელოს დაცვა ეფექტურად, შესაბამისად მათი ურთიერთობის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბრალდებულის უფლება, ჰქონდეს მის ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობა, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტს.¹⁸² ამასთან, დაცულია ადვოკატისა და ბრალდებულის როგორც ვერბალური, ისე წერილობითი კომუნიკაცია.¹⁸³ ყველა შემთხვევაში ეფექტური დაცვის განხორციელების ვალდებულებიდან გამომდინარე, ბრალდებულს აქვს უფლება, იქონიოს თავის დამცველთან საქმიანი ურთიერთობა ყოველგვარი ხელის შეშლისა და მიყურადების გარეშე.¹⁸⁴ აღნიშნული ღირებულება განმტკიცებულია

¹⁸¹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 137.

¹⁸² European Convention on Human Rights, Article 6-3 (c). *ib.*, <<https://www.echr.coe>> [14.06.2021].

¹⁸³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 197.

¹⁸⁴ ECtHR *Sakhnovskiy v. RUS*, *Application no. 21272/03*, 2010, 97.

ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია, ისევე როგორც ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან, ხოლო შეზღუდვა სათანადო საფუძვლის არსებობისას დასაშვებია მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.¹⁸⁵ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვითაც ადვოკატი კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოდის,¹⁸⁶ ხოლო მათი ურთიერთობა ეფუძნება ნდობას,¹⁸⁷ და აღნიშნული ღირებულების მნიშვნელობიდან გამომდინარე ნდობის დარღვევის შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს კლიენტების სახელით საქმიანობა.¹⁸⁸ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული არ არის შერაცხადი, აქვს ფსიქიკის დროებითი აშლილობა ან რაიმე სხვა ისეთი დაავადება, რომლის გამოც კონტროლს ვერ უწევს საკუთარ ქმედებებს, სიტყვებს, ვერ იაზრებს, აღიქვამს, აღიდგენს და გადმოსცემს ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას პოზიციის მართებულობა, რომელი ნდობის ან/და კონფიდენციალურობის პრინციპების უზრუნველყოფაზეა საუბარი. აგრეთვე, დაცვის უფლების განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ე.წ. დაცვის სტრატეგიის სწორად არჩევასა და წარმართვაზე, რაც ვერ განხორციელდება ბრალდებულისა და ადვოკატს შორის გააზრებული კომუნიკაციის გარეშე, ბრალდებულის ხედვაში შეიძლება სხვა იყოს ჭეშმარიტება, ხოლო ადვოკატი განსხვავებული კუთხით ხედავდეს მომხდარს, შესაბამისად აუცილებელია მათი პოზიციების ჰარმონიზაცია და ერთიანი მიდგომის არჩევა, რაც ასევე წარმოუდგენელია როდესაც საქმე ეხება შეურაცხად ბრალდებულს.

¹⁸⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლი.

¹⁸⁶ ვეკუაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძაია ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბილისი, 2011, 27. იხ., <<https://gba.ge>> [14.06.2021]

¹⁸⁷ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი. იხ., <<https://www.gba.ge>> [14.06.2021].

¹⁸⁸ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მუხლი 3.2., პუნქტი 3.2.2.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის უფლებები შეიძლება დაიცვას მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქემ.¹⁸⁹ ადვოკატი სისხლის სამართალწარმოების დროს იცავს ბრალდებულის ინტერესებს და ამავდროულად ახორციელებს კონტროლს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად წარიმართება სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლის პროცესი, შესაბამისად იგი არის როგორც ბრალდებულის, ასევე სამართლებრივი წესრიგის დამცველიც.¹⁹⁰ ადვოკატს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.¹⁹¹ ისეთ ვითარებაში, როდესაც ბრალდებულისა და დამცველის მოსაზრებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, გადამწყვეტია ბრალდებულის ნება.¹⁹² აღნიშნული გარანტიები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადვოკატს და ბრალდებულს შორის არსებული ჯანსაღი ურთიერთობა, კომუნიკაცია, შეთანხმებული და შეჯერებული დაცვის სტრატეგია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესი გარანტირებულად აცხადებს, ერთი მხრივ, დაცვის უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალური სუბიექტის, ადვოკატისათვის დადგენილ გარანტიებს-საკუთარი უფლებების შეუფერხებლად განხორციელებასა და თვითორგანიზების უფლებას,¹⁹³ ადვოკატი, როგორც პროფესიონალი შეიძლება არ ეთანხმებოდეს ბრალდებულის მითითებებს, იგი მაინც ვალდებულია იმოქმედოს მის შესაბამისად.¹⁹⁴

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შეურაცხადი ბრალდებული ვერც უშუალოდ და ვერც ადვოკატის დახმარებით ვერ ახერხებს

¹⁸⁹ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 198.

¹⁹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁹² ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 270.

¹⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/3/1543 საოქმო ჩანაწერი.

¹⁹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 199.

ისარგებლოს მისთვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლებით-დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებებისგან მაშინ, როდესაც კონსტიტუცია ადამიანის უფლებებს აცხადებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებას¹⁹⁵. მეტიც, სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამორიცხავს სასამართლო პროცესის დაუსწრებლად წარმოებას შეურაცხადი ბრალდებულის წინააღმდეგ, რომელსაც არ შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს თავის დაცვაში.¹⁹⁶

¹⁹⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁹⁶ თელავის რაიონული სასამართლოს №1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

IV. საქმის განხილვაში შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობის შესაბამისობა სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან

4.1. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის შესაძლებლობა

საქმის განხილვაში ბრალდებულის ეფექტურ მონაწილეობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა დაცვის უფლების განხორციელებისთვის, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შეურაცხადი ბრალდებულისთვის.¹⁹⁷ გამომდინარე იქედან, რომ ბრალდების მხარე წარმოადგენს სახელმწიფოს, შესაბამისად მის ხელში ბუნებრივადაა ძლიერი ავტორიტეტი, მნიშვნელოვანია თანაბრად დაცული იქნეს ბრალდებულის ინტერესები სამართალწარმოების პროცესში, შესაბამისად მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის იმ ფუნდამენტურ ასპექტს, რომლის გარეშეც შეუძლებელია მართლმსაჯულების განხორციელება. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის მიზანია სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა მხარეებისთვის საკუთარი პოზიციის დაცვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებისა და ფუნქციათა გამიჯვნის გზით.¹⁹⁸ ამასთან, ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები (მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა, რისთვისაც აუცილებელია სათანადოდ განხორციელებული დაცვა) არ უნდა იყოს თეორიული და ილუზიური, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი, რასაც

¹⁹⁷ ECtHR, T. v. The United Kingdom (24724/94) and V. v. The United Kingdom App. (24888/94), joint decision of 16 December 1999, 94. იხ., <<http://hudoc.echr.coe.int>> [19.06.2021]

¹⁹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 84.

გამორჩეული ადგილი უჭირავს დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹⁹⁹ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, არც ერთი მხარე არ უნდა იყოს ჩაყენებული მეორე მხარესთან შედარებით უარეს მდგომარეობაში.²⁰⁰ შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ორივე მხარეს შეეძლოს როგორც საკუთარი მტკიცებულების წარდგენა, ისე მეორე მხარის მტკიცებულებების ცოდნისა და კომენტარის გაკეთების უფლება სასამართლო გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით,²⁰¹ რა შესაძლებლობაც ცხადია შეურაცხად ბრალდებულს არ აქვს. ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს უშლის ბრალდებულს ეჭვქვეშ დააყენოს ბრალდების მხარის მტკიცებულებების სანდოობა, რაც შეჯიბრებითობის პრინციპის შემადგენელი კომპონენტია.²⁰² შეურაცხაობა თავისთავად გამორიცხავს შეჯიბრებითობის პრინციპის იმ კომპონენტს, რაც გულისხმობს ბრალდებულის მიერ სადავო ფაქტთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების შესაძლებლობას, რაც მისთვის მინიჭებულია ყველა, მათ შორის, პროცესუალურ საკითხებთან მიმართებით²⁰³. შეურაცხადი ბრალდებული მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შეჯიბრებითობის პრინციპის ელემენტებით, მათ შორის, უფლება-იყოს მოსმენილი, მოიპოვოს, წარადგინოს მტკიცებულებები, გაეცნოს, გამოიკვლიოს და გამოთქვას მოსაზრება ბრალდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, დააყენოს შუამდგომლობები²⁰⁴. ცხადია, რომ შეურაცხადი ბრალდებულისთვის არ არის უზრუნველყოფილი შეჯიბრებითობისა და თანასწორობის

¹⁹⁹ ECtHR, *Artico v. Italy*, Application No. 6694/74, 13 May 1980, 33. იხ., <<https://www.dipublico.org>> [19.06.2021]

²⁰⁰ ECtHR, *Mantovanelli v. FRANCE*, Application No. 21497/93, 1997, 33. <<https://www.refworld.org>> [20.06.2021]

²⁰¹ ECtHR, *NIDERÖST-HUBER v. SWITZERLAND*, Application No. 610698, 1997, 24, იხ., <<https://www.refworld.org>> [20.06.2021]

²⁰² იხ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი, პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 546.

²⁰³ ECtHR, *CASE OF KAMASINSKI v. AUSTRIA*, Application no. 9783/82, 1989, 102. იხ., <<https://hudoc.echr.coe>> [20.06.2021]

²⁰⁴ *LAUKKANEN and MANNINEN v. Finland*, App. No. 50230/99, 2004, 34.

პრინციპები და ჩაყენებულია მოწინააღმდეგესთან შედარებით vis-a-vis არსებითად არახელსაყრელ პირობებში.²⁰⁵

4.2. შეურაცხადი ბრალდებულის უფლება გონივრულ ვადაში სამართლიან სასამართლო განხილვაზე

საქმის განხილვის ვადა უნდა იყოს გონივრული და გამომდინარეობდეს განსახილველი საქმის სირთულიდან.²⁰⁶ მოსამართლეებმა უნდა აწონდაწონონ სასამართლო განხილვების გადადების ან გადატანის გადაწყვეტილების შედეგები ბრალდებულთა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებასთან მიმართებით.²⁰⁷ მართლმსაჯულების გაჭიანურება ზიანს აყენებს მართლმსაჯულების ეფექტიანობას და სარწმუნოებას და ხშირ შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის ტოლფასია, ვინაიდან სამართალწარმოების ხანგრძლივობა შესაძლებელია უარყოფითად აისახოს მტკიცებულებათა ხარისხსა თუ დასაშვებობაზე.²⁰⁸ ევროპული სტანდარტის მიხედვით, ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა და გაეწიოს სათანადო მხარდაჭერა ეფექტიანი დაცვის მოსამზადებლად.²⁰⁹ სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარების უფლების გამოყენება არ შეიძლება მოსამზადებლად ადეკვატური დროის უფლების შეზღუდვის გასამართლებლად იქნეს გამოყენებული.²¹⁰ საბოლოოდ, სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი მოითხოვს სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფას სამართალწარმოების სისწრაფეს და სამართალწარმოების

²⁰⁵ BULUT v. AUSTRIA, Application no. 17358/90, 1996, 47.

²⁰⁶ იხ., <<https://court.ge>> [20.06.2021]

²⁰⁷ ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში-საქართველო, ვარშავა, 2014, 19.

²⁰⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 70.

²⁰⁹ იხ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი, პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 542.

²¹⁰ ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში-საქართველო, ვარშავა, 2014, 97.

ჯეროვნად განხორციელებას შორის.²¹¹ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის გაგრძელება ვერ გამართლდება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და საქმეზე შედეგის დადგომის აუცილებლობის ინტერესით (თუნდაც გამომიების, დაზარალებულის უფლებების დაცვის და სხვა ლეგიტიმური მიზნებით) და პირიქით, ასეთ დროს, როდესაც ბრალდებულს ჯანმრთელობის პრობლემის გამო არ ეძლევა გონივრული დრო დაცვის მოსამზადებლად ირღვევა მისი უფლებები. სწრაფი მართლმსაჯულება ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება, შესაბამისად ამ მოტივით დაუშვებელია მისი საქმის განხილვისგან ჩამოცილება, ასევე წინამდებარე ღირებულება არ განიმარტება როგორც ა პრიორი დროითი მოცემულობა, შესაბამისად როდესაც ბრალდებულს აქვს სურვილი, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ძალუძს მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, უნდა გადაიდოს სხდომები მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებამდე, რაც არ იქნება მართლმსაჯულების სწრაფი განხორციელების, როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის კომპონენტის განხილვა, ვინაიდან ეს გამომდინარეობს ისევე და ისევე ბრალდებულის ინტერესებიდან და მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს სამართალწარმოება ობიექტურად გახანგრძლივდება, იქნება გონივრული.

4.3. შეურაცხადი ბრალდებულის და უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართალი მოქმედებს როგორც რეპრესიული, ისე პრევენციული მიმართულებით, შესაბამისად ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე მნიშვნელოვანია გაირკვეს ობიექტური ჭეშმარიტება, რა საკვირველია, გონივრულ ვადაში. წინამდებარე გარანტია ბრალდებულის ინტერესების დაცვის გარდა მიემართება დაზარალებულისა და საზოგადოებრივ ინტერესებსაც, ვინაიდან მასზე მნიშვნელოვნადაა

²¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 70.

დამოკიდებული მართლმსაჯულების განხორციელება, სასამართლოსადმი ნდობის ამაღლება, საზოგადოებაში დაცულობის შეგრძნება და ა.შ. ამასთანავე, რაც უფრო მძიმე ხასიათის დანაშაულში არსებობს ბრალდებულის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი, მაგალითად, როგორცაა ტერორიზმი, რომელიც არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს უქმნის საფრთხეს, მით უფრო მაღალია საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი, თუმცა ეს არ ცვლის იმ რეალობას, რომ სწრაფი მართლმსაჯულება მორგებული უნდა იყოს ბრალდებულის ინტერესებზე. შესაბამისად, შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის გაგრძელების გამამართლებელ არგუმენტად მოიხსენიება ის საჯარო ინტერესი, რაც არსებობს დანაშაულის გახსნის, გამოძიების, მართლმსაჯულების განხორციელების დროს, თუმცა ამას ცალსახად უპირისპირდება უდანაშაულობის პრეზუმფცია. წინამდებარე პრინციპი ერთდროულად წარმოადგენს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს გარანტს, ისე ბრალდებულის უფლებას,²¹² რომლის თანახმად, ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.²¹³ შესაბამისად, ზემოხსენებული მოტივი ვერ იქნება გამამართლებელი, ვინაიდან რომელი დანაშაულის გახსნაზე და სხვ. საჯარო ინტერესების დაკმაყოფილებაზეა საუბარი, როდესაც ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება და რომელსაც ერთმევა მინიჭებული უფლებები მის წინააღმდეგ ბრალდების საქმის განხილვის გაგრძელებით, როდესაც არ აქვს სათანადო თავდაცვის შესაძლებლობები. ამასთანავე, უდანაშაულო ადამიანის დასჯა გაცილებით უფრო უარესია, ვიდრე დამნაშავისათვის თავისუფლების მინიჭება,²¹⁴ რა იდეაც განსაკუთრებით სენსიტიურია, როდესაც შეურაცხად ბრალდებულთან გვაქვს საქმე.

²¹² თანდილაშვილი ხ., პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, 164. იხ., <<http://junior.tsu.edu.ge>> [20.06.2021]

²¹³ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

²¹⁴ <<http://junior.tsu.edu.ge>> [21.06.2021]

4.4. შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში

კაცობრიობის მისწრაფება, რომ საზოგადოებას თავად, უშუალოდ მიეღო მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, საუკუნეების განმავლობაში მუდმივად ვითარდებოდა და ჰუმანიზმის ძირითად იდეებთან ერთად იხვეწებოდა.²¹⁵ მართლაც, როდესაც ხელისუფლების წყარო არის ხალხი,²¹⁶ საზოგადოება ჩართული უნდა იყოს ხელისუფლების მესამე შტოს-სასამართლოს ფუნქციონირების პროცესში. ქართულ საკანონმდებლო რეალობაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტს შემოღების მიზანი იყო მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღება მოსამართლეებზე ხელისუფლების მხრიდან შესაძლო გავლენის შემცირებისა და საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი ნდობის ამაღლების გზით.²¹⁷ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოადგენს დემოკრატიის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებას. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა ამ ეტაპზე არჩევადია და სურვილს ბრალდებულის აფიქსირებს მოსამართლის წინაშე, საქმის განხილვის წინასასამართლო ეტაპზე,²¹⁸ მეტიც, თუ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით არ განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მას პირველი ინსტანციით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო,²¹⁹ აგრეთვე, მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები (თუ ბრალი წარდგენილია ნაფიც მსაჯულთა განსჯადი დანაშაულის ჩადენისთვის) და თუ ბრალდებულის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს არ განაცხადებს, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს.²²⁰ რაც ხაზს უსვამს საკითხის მნიშვნელობას და ბრალდებულის უფლებას

²¹⁵ <<https://www.gba.ge>> [21.06.2021]

²¹⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

²¹⁷ შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ., ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2016, 5. იბ., <<http://www.library.court.ge>> [21.06.2021]

²¹⁸ <<https://tcc.court.ge>> [21.06.2021]

²¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი.

²²⁰ იქვე, 219-ე მუხლის, მე-3 ნაწილი.

უმუშალოდ მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ვის მიერ იქნეს განხილული მისი სისხლის სამართლის საქმე-პროფესიონალი მოსამართლის, თუ საზოგადოების რიგითი წევრების. თუმცა სხვა შეზღუდვებთან ერთად, შეურაცხად ბრალდებულს წინამდებარე შესაძლებლობაც ეზღუდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს რა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირის გასამართლების და განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, არ შეიცავს დებულებებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, მიერ ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ საქმის განხილვის პროცედურის შესახებ, რა მკაფიო პროცედურების არ არსებობის პირობებში არსებობს ნორმის იმდაგვარად განმარტების შესაძლებლობა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არჩევის შემდეგ, ბრალდებულს შეეზღუდოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევაში და შემდეგ კი, მათ მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება, ან საქმე მისი ნებისგან დამოუკიდებლად გადაეცეს რაიონულ (საქალაქო) მოსამართლეს, ხოლო თუ ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ გამოვიყენებთ მიმალვაში მყოფი პირის მიმართ საქმის წარმოების წესს, მაშინ, მხედველობაში მისაღებია, რომ მიმალვაში მყოფი ბრალდებული ვერ სარგებლობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებით.²²¹ შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც გაუმართლებელია ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის გაგრძელება. გარდა ამისა, შეურაცხად ბრალდებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, მისი გონებრივი მდგომარეობის გამო, შეუძლებელია საპროცესო შეთანხმების გზით განაჩენის გამოტანაც, ვინაიდან ბრალდებული ვერ შეძლებს ამ შეთავაზების შეფასებას, ხოლო ადვოკატი-ასეთი შეთავაზების მიღებას, თუნდაც ეს ყოფილიყო უდავოდ ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.²²²

²²¹ თელავის რაიონული სასამართლოს №1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

²²² იქვე.

დასკვნა

ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე ორიენტირებული, განჭვრეტადი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი უმეტესწილად დამოკიდებულია ნაციონალურ კანონმდებლობაში საერთაშორისო სტანდარტების და საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების დამკვიდრებაზე. რაც უფრო ვითარდება სამართალი, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება საჯარო ინტერესის და სხვა ლეგიტიმური მიზნების საპირწონედ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი, მათ შორის, სისხლის სამართალში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო განმარტებები, რომელიც უნიკალურია ეროვნული სამართლის ფორმირების პროცესისათვის.

წინამდებარე კვლევის შედეგად ნათლად წარმოჩინდა, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით შეურაცხად ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში ეზღუდება მთელი რიგი საპროცესო უფლებები, რითაც ეჭვქვეშ დგება სამართლიანი სასამართლოს კონვენციური უფლების დაცვის საკითხი. საბოლოო ჯამში, ხარვეზები კანონმდებლობასა და მის შესაბამისად განვითარებულ სასამართლო პრაქტიკაში მიუთითებს ქართული მიდგომის შეუსაბამობაზე ევროპულ სტანდარტებთან.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ არ არსებობს აღნიშნული შემთხვევის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები, თუნდაც სისხლის სამართლის პროცესში, რითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, პროკურატურამ, თუ საგამომიებო ორგანომ. გაურკვეველია წესი, თუ

როგორ და რატომ უნდა ვიმოქმედოთ შეურაცხად ბრალდებულთან მიმართებით, რომლებსაც აქვთ ინტერესი და სურვილი, რომ მიიღონ მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში, იმავე წესით, რაც ძებნილი ბრალდებულის შემთხვევაში გამოიყენება, ვინც თავისი ნებით არ ესწრება სასამართლო განხილვას. შესაბამისად, ცალსახაა შემთხვევის სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა. აგრეთვე, ბრალდებულის შეურაცხაობის საკითხი, როგორც წესი, უნდა დგებოდეს პირველივე შესაძლებლობისთანავე, რისთვისაც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა იცნობს მრავალ და მათ შორის, ადრეული სკანირების მექანიზმებს, რასაც საქართველოში ადგილი არ აქვს, და პირიქით, მაქსიმალურად გართულებულია პირის შეურაცხაობის დადგენის პროცედურა, თუნდაც სამედიცინო დასკვნის მოთხოვნით, ან/და იმით, რომ მოსამართლე ჩამოცილებულია ექსპერტიზის დანიშვნის შესაძლებლობას მაშინ, როდესაც აშკარად ხედავს, რომ ბრალდებულის ქმედებები არ არის ადეკვატური, ხოლო მხარეები არ ნიშნავენ სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას. მოსამართლე ყოველგვარ შესაძლებლობას მოკლებულია დაადგინოს პირი არის თუ არა შერაცხადი, ხოლო ამ ე.წ. „იძულებითი სამართლებრივი დუმილით“ საბოლოოდ შესაძლებელია გამამტყნებელი განაჩენიც კი გამოიტანოს პოტენციური ფსიქიკურად დაავადებული ბრალდებულის მიმართ. აგრეთვე ხაზგასასმელია, რომ ევროპული სტანდარტის შესაბამისად, შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, მისი ნებისგან დამოუკიდებლად, სისხლის სამართლის საქმის განხილვის გაგრძელება დაუშვებელია, ვინაიდან ამ დროს ილახება ბრალდებულის დაცვის უფლება, საქმის განხილვაში უშუალო მონაწილეობის უფლება და სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლების სხვა შემადგენელი კომპონენტები. მიზანშეწონილია ამ დროს მოხდეს საქმის განხილვის შეჩერება, რასაც ადგილი არ აქვს ქართულ რეალობაში და გარდაუვალია ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. გარდა ამისა, სასამართლო პროცესში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის

მონაწილეობა გრძელდება, ინიშნება სავალდებულო დაცვა, შეიძლება დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განისაზღვრება მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით მაშინ როდესაც, ევროპული სტანდარტის შესაბამისად, სასამართლო პროცესი ჩერდება და გარკვეული პერიოდულობით ფასდება ბრალდებულის სასამართლო პროცესში მონაწილეობის უნარი, ხოლო როგორც კი ეს უნარი აღდგება, სასამართლო განხილვა მხოლოდ ამის შემდეგ გრძელდება.

შეურაცხადი ბრალდებულის საპროცესო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული ე.წ. „სამართლებრივი დუმილი“ დაარღვია თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, რომელმაც წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ სისხლის სამართლის კოდექსის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, რომლებიც უშვებენ შეურაცხადი ბრალდებულის გასამართლების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ დაინახა პრობლემა არსებულ ნორმებში და კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად მიიღო, ეს კი მაღალი ალბათობით გახდება იმ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების საწინდარი, რაც სრულყოფილად დაიცავს შეურაცხადი ბრალდებულის უფლებებს სისხლის სამართლის პროცესში.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ა. გიორგაძე, შეზღუდული შერაცხაობა, სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები, თბილისი, 2008
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2013
3. ბ. ნიპარიშვილი, ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, ნინო ძიძიგურის რედაქტორობით, #1(49)16, თბილისი, 2016
4. გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014,
5. გ. თუმანიშვილი, შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, მზია ლეკვეიშვილი – 85 საიუბილეო კრებული, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014
6. მ. ელიაშვილი, ნ. ზავრადაშვილი, კვლევა ბრალდებულთა ფსიქიკური აშლილობის საკითხებზე-არსებული პრაქტიკა, პრობლემები, სამომავლო ხედვა, ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში, თბილისი, 2014
7. ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში-საქართველო, ვარშავა, 2014
8. თ. შვანგირაძე, გ. ჩხაიძე, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2016
9. ი. კობახიძე, საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 2019
10. კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005
11. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008
12. ლ. მაღლაკელიძე, ბრალის გენესიზი ქართულ სისხლის სამართალში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2015
13. მ. გელდერი, პ. ჰარისონი, ფ. ქოუენი, ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში, მეხუთე გამოცემა, მთარგმნელები ჩხეიძე თ., ჭყონია ე., ეკა ჭყონიასა და ნინო მახაშვილის რედაქტორობით, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, თბილისი 2012,
14. მ. ელიაშვილი, ნ. ზავრადაშვილი, კვლევა ბრალდებულთა ფსიქიკური აშლილობის საკითხებზე-არსებული პრაქტიკა, პრობლემები, სამომავლო ხედვა, ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში, თბილისი, 2014

15. მ. კვაჭაძე, ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, ი. კორძაძია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბილისი, 2011
16. მ., ლომსაძე, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012
17. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011
18. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013
19. ნ. თოფურიძე, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება საერთაშორისო სისხლის სამართლის კონტექსტში, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013
20. სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის,
21. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015
22. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი, პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი
23. შ. ტრექსელი, სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009
24. ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. A . Mowbray, Cases, Materials, and Commentary on the European Convention on Human Rights (3rd edn), Oxford: Oxford University Press, 2012
2. A . Scott, REVIEW OF THE MENTAL DISORDER PROVISIONS OF THE CRIMINAL CODE, Report of the Standing Committee on Justice and Human Rights, 2002
3. B . Emmerson, A. Ashworth, A. Macdonald, Human Rights and Criminal Justice. Third Edition, London, Sweet&Maxwell, 2012
4. D. Vitkauskas, G. Dikov, Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Concil of Europe, Strasbourg, 2012
5. E. Herath, Trials in Absentia: Jurisprudence and Commentary on the Judgment in Chief Prosecutor v. Abul Kalam Azad in the Bangladesh International Crimes Tribunal, Harvard International Law Journal, 2014
6. Human Rights in the Administration of Justice, Office of the High Commissioner for Human Rights in Cooperation with the International Bar Association, Professional Training Series No. 9, New York and Geneva, 2003
7. J. STEPHEN MORSE, MENTAL DISORDER AND CRIMINAL LAW, Journal of Criminal Law and Criminology, Volume 101, Article 6, Northwestern University School of Law, 2011
8. M. Meysman, Protecting the fair trial rights of mentally disordered defendants in criminal proceedings, University of Ghent, Faculty of Law, Department of Criminal Law, Institute for International Research on Criminal Policy, Belgium

9. THE CANADIAN JOURNAL OF PSYCHIATRY, Volume 38, Bill C-30 and Canadian Psychiatry, Ottawa, Canada, June 1993
10. W. Donald, Black, Nancy C. Andreasen, Introductory textbook of Psychiatry, SIXTH EDITION, Washington, DC London, England

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
3. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი
4. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
7. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“
8. საქართველოს კანონი „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“
9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 19 ივნისის №142/ნ ბრძანება „სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“
10. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი
11. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/3/1543 საოქმო ჩანაწერი
5. თელავის რაიონული სასამართლოს №1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის #სსდ-26-19 გადაწყვეტილება
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის #3აგ-13 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება

ECtHR:

1. *Idalov v. Russia*, App. No. 5826/03 (2012)
2. *Sakhnovskiy v. RUS*, Application no. 21272/03, 2010
3. *Salduz v. TUR*, App. No 36391/02, 2008

4. C v United Kingdom, *Application no. 60958/00*, 15 June 2004
5. LAUKKANEN and MANNINEN v. Finland, App. No. 50230/99, 2004
6. ANTOINE against the United Kingdom, App. No. 62960/00, 13 May, 2003.
7. Medenica v. CH, *Application no. 20491/92*, 2001
8. Sedjovic v. Italy, N. 56581/00, Eur. Ct. H.R., 92 (2000)
9. T. v. The United Kingdom (24724/94) and V. v. The United Kingdom App. (24888/94), joint decision of 16 December 1999
10. Mantovanelli v. FRANCE, Application No. 21497/93, 1997
11. NIDERÖST-HUBER v. SWITZERLAND, Application No. 610698, 1997
12. BULUT v. AUSTRIA, Application no. 17358/90, 1996
13. Benham v. UK, *Application no. 19380/92*, 1996
14. Stanford v. The United Kingdom, *Application no. (16757/90)*, 23 February 1994
15. Pelladoah v. The Netherlands, App. No. 16737/90, Eur. Ct. H.R., 40 1994
16. Poitrimol v. France, Eur. Ct. H.R. 1993
17. Funke v. France, *Application No. 10828/84*, 1993
18. KAMASINSKI v. AUSTRIA, Application no. 9783/82, 1989
19. COLOZZA v. ITALY Application no. 9024/80 12 February 1985
20. Artico v. Italy, *Application No. 6694/74*, 13 May 1980

ელექტრონული წყაროები:

1. <https://tcc.court.ge/>
2. <http://www.library.court.ge/>
3. <https://www.gba.ge/>
4. <http://junior.tsu.edu.ge/>
5. <https://www.court.ge/>
6. <https://hudoc.echr.coe.int/eng>
7. <https://www.refworld.org/>
8. <https://www.dipublico.org/>
9. <http://www.mirandawarning.org/>
10. <https://www.oxfordreference.com/>
11. <https://matsne.gov.ge/>
12. <http://myrights.gov.ge/>
13. <https://iuristi.ge/>
14. <https://books.google.com/>
15. <http://www.supremecourt.ge/>
16. <https://www.coe.int/en/web/portal>
17. <https://www.constcourt.ge/>
18. <http://hcoj.gov.ge/>
19. <https://jelec.iliauni.edu.ge/>
20. <https://www.osce.org/>
21. <https://harvardilj.org/>
22. <https://www.juridice.ro/juridice-ro>
23. <https://www.tsu.ge/>
24. <https://www.legislationline.org/>
25. <https://www.lawcom.gov.uk/>
26. <https://www.oxfordlawtrove.com/>
27. <http://www.humanrights.ge>

28. <https://geolaw.wordpress.com>